# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 18 სექტემბერი 1997 №112 (477) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კობიაშვილს შესაძლოა ოპერაცია დასჭირდეს



ბოლო ხანს „ალანიაში" მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს ჯანმრთელობამ უმუხთლა. კახი ცხადაძესა და მურთაზ შელიაზე ადრე ვწერდით, ახლა კი ისიც შევიტყვეთ, რომ ლევან კობიაშვილი საზარდულის ტკივილს შეუწუხებია და საეჭვოა, მოლდოვასთან ითამაშოს. ყველაფერი დღეს გაირკვევა, როცა კობიაშვილს ზაქარია თელია გასინჯავს. კობიმ ტკივილი ჯერ კიდევ იტალიელებთან მატჩის შემდეგ იგრძნო, რამდენიმე დღე უქმადაც გაატარა, მაგრამ მოსკოვის „დინამოსთან" თამაშისას კვლავ იჩინა თავი. გუშინწინ კი უეფას თასზე, ბუდაპეშტის მტკ-სთან მატჩისას შესაცვლელი შეიქნა. ვნახოთ, რას იტყვის თელია. გამორიცხული არ არის, ლევანს ოპერაციაც დასჭირდეს.

## აზოტმა 23 ქულით წააგო

გუშინ ტალინში რუსთავის „აზოტმა" კორაჩის თასის საპასუხო მატჩი გამართა ადგილობრივ „ესტონიან ფაიერსთან". პირველი მატჩი, გეხსომებათ, რუსთაველებმა 81:75 მოიგეს. ექვსქულიანი სხვაობა საკმარისი არ აღმოჩნდა მომდევნო წრეში გასასვლელად — „აზოტი" 23-ქულიანი სხვაობით დამარცხდა — 67:90 (26:40). რუსთაველთაგან საუკეთესონი კვლავ გოგობერიშვილი და ბოისა იყვნენ, თუმცა მათ ამჯერად ისე შედეგიანად ველარ ითამაშეს, როგორც თბილისში: გოგობერიშვილმა 17 ქულა შესძინა გუნდს, ბოისამ — 14.

## 6 ტური

| | | |
|---|---|---|
| ლოკომოტივი | 0:0 | სიონი |
| სამგურალი | 1:1 | ბათუმი |
| მეტალურგი | 2:1 | მაღაროელი |
| გურია | 1:1 | თსუ |
| დილა | 1:1 | ტორპედო |
| მარგვეთი | 0:4 | მერანი |
| მორკინალი | 2:1 | კოლხეთი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 6 | 5 | 1 | 0 | 13:6 | 16 |
| ოდიში | 5 | 4 | 1 | 0 | 10:1 | 13 |
| დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 17:3 | 12 |
| კოლხეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:7 | 10 |
| მერანი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:7 | 10 |
| დილა | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | 10 |
| ბათუმი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:5 | 9 |
| მორკინალი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 9 |
| ტორპედო | 6 | 2 | 3 | 1 | 11:10 | 9 |
| მეტალურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |
| სამგურალი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:14 | 5 |
| მარგვეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:16 | 4 |
| გურია | 6 | 0 | 3 | 3 | 3:11 | 3 |
| მაღაროელი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:19 | 3 |
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:13 | 2 |
| სიონი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:9 | 0 |



სამშაბათს „შევარდენზე". „მორკინალი" — „კოლხეთი": კოლხი ქუნთელია თბილისელი აბაზაძის შეჩერებას ცდილობს

რეპორტაჟი იხილეთ მეოთხე გვერდზე

იმის გამო, რომ გუშინწინ „დინამომ" უეფას თასზე ითამაშა, ფედერაციამ თბილისელებს მეექვსე ტურის საშინაო შეხვედრა გადაუდო. ადრეც გაუწყეთ, რომ ის მატჩი სავარაუდოდ 19 სექტემბრისთვის დაინიშნებოდა და ზუგდიდელთა დედაქალაქში სტუმრობაც ოთხი დღით გადაიწევდა. ხვალ 19 სექტემბერია და „დინამოც" აუცილებლად ითამაშებს, ოღონდ „მეტალურგთან" პირველი ტურის გადადებულ შეხვედრას გამართავს.

ჩემპიონთა ლიგა

პირველი ტური. 17 სექტემბერი

CHAMPIONS LEAGUE

## ასპრილიამ ბარსა დასცა

A ჯგუფი

### სპარტა 0:0 პარმა

**სპარტა: პოსტულკა, რეპკა, სვობოდა, ჩიჟეკი (გაბრიელი 46), ნოვოტნი, ლოკვენცი, ზიგლი (ობაჟდინი 86), ჰაშეკი, მისტრი (ლალიკი 71), ბარანეკი, ნემეჩეკი**

**პარმა: ბუფონი, ზე მარია, ბენარივო, სენსინი, დ. ბაჯო, კრიპა, სტრადა, კრესპო (მანიერო 80), კანავარო, კიეზა, ტიურამი**

ორივე გუნდს ჰქონდა შანსი, მაგრამ საბოლოოდ მეტოქეები ფრით კმაყოფილნი დარჩნენ. უხეში ორთაბრძოლებით სავსე შეხვედრაში ათმა ფეხბურთელმა მიილო გაფრთხილება.

### გალათასარაი 0:1 დორტმუნდი

**გალათასარაი: ვოლქანი, ჰაქან უნსალი, ფატიჰი, ბულენთი, პოპესკუ, უმითი (არიფი 67), თუგაი, ჰაჯი, ერგუნი, ილიე, ჰაქან შუქური**

**დორტმუნდი: კლოსი, რაინჰარტი, ფაიერზინგერი, კოლერი, ჟულიო სეზარი, ლამბერტი, ფრეინდი, ცორკი, ჰაინრიხი, ჰერლიხი, შაპუიზა**

**0:1 შაპუიზა (73)**

სტამბოლელებმა მიზანთან ახლოს ორჯერ დაარტყეს და ამის დასტურად დორტმუნდელთა კარის ძელმა ორივეჯერ რხევა დაიწყო. ეს მომენტები მეორე ტაიმში იყო. პირველი 61-ე წუთზე, როდესაც მარჯვენა ფრთიდან დაბლა ჩაწოდებულს მეურვისგან დამსხლტარი ჰაქან შუქური გამოუხტა, მარცხენა ფეხი გემოზე მოარგო ბურთს და მიმართულებაც სათანადო მისცა, მაგრამ თურმე შეცდომა მილიმეტრებში დაუშვია, მის ცხვირწინ აყუდებულმა ძელმა თურქი ფორვარდისთვის არასასიამოვნო ხმა გამოსცა და გადარეულ სტამბოლელებს აუწყა, რომ შტეფან კლოსის კარი კვლავ ხელუხლებელია. მეორედ კი კლოსის კარის ჩარჩო მაშინ შეზანზარდა, თამაშისთვის გამოყოფილი 90 წუთი რომ გაილია და ტაბლოზე მსაჯის მიერ დამატებულმა ცხრა წამმა გაიელვა — „გალათასარაის" ბოლო იმედის ჯარიმა ებოძა. „დორტმუნდმა" ლამის მთელი გუნდი კედელში ჩააყენა, მაგრამ ჯარიმების დიდოსტატმა, რუმინელმა გეორგ ჰაჯიმ წინ აღმართულ გერმანელთა მწკრივს ბურთი თავზე გადაავლო. ჰაჯიც მილიმეტრებში შეცდა — ცოტა ქვევით და გოლი იქნებოდა.

სხვა ეპიზოდებში კი შეუდარებლად ითამაშა ჩემპიონთა თასის მფლობელთა გოლკიპერმა. მისმა სისხარტემ განსაკუთრებით 77-ე წუთზე მოსწყვიტა მაყურებელს თვალი. ჯერ იყო და ძალიან ახლოდან დარტყმული მოიგერია კუთხურზე, შემდეგ კი იმ კუთხურიდან ჩაწოდებული და დაკრული გააუვნებლა.

ეს თურქთა შეტევებს რაც შეეხებოდა. ახლა გერმანელთა საქმეებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. „ბორუსიას", მოგეხსენებათ, წამყვან მოთამაშეთა მთელი ჯარი აკლდა. სხვადასხვა მიზეზის გამო არ იყვნენ მიოლერი, როიტერი, რიკენი, სოუზა... სამაგიეროდ, მოედანზე იყო ცნობილი შვეიცარიელი შტეფან შაპუიზა. სწორედ შაპუიზამ გაიტანა შეხვედრის ერთადერთი გოლი. 74-ე წუთი იყო, როდესაც თურქთა უკანახაზელებმა ერთმანეთისთვის პასის მიცემაში უხეში შეცდომა დაუშვეს და ბურთი შვეიცარიელმა იგდო ხელთ. იგი ჯიქურ შეიჭრა საჯარიმოში, გზად ეფექტურად მოატყუა ხელის შემშლელი და მეკარისგან მარცხენა დაბალი კუთხე დალაშქრა.

პირისპირ შაპუიზა კიდევ ერთხელ შეიჭრა, 84-ე წუთზე. გოლს არაფერი აკლდა. გამოცდილ ფორვარდს კარში დასარტყმელი მომენტის სწორად შერჩევაც მართებდა, მაგრამ, რატომღაც, გოლკიპერის ფინტით ჩამოტოვება განიზრახა და სწორედ ამაში შეცდა.

B ჯგუფი

### კოშიცე 0:3 მანჩესტერი

**კოშიცე: მოლნარი, სპილარი, ტელეკი, კოზაკი, იანოჩკო, ლუბარსკი (რუსნაკი 46), კოზლეი (ფაქტორი 77), სემენიკი, ზვარა, სოვიჩი, კრალი**

**იუნაიტედი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, ბერგი, პალისტერი, ბექემი (მაკლეირი 75), ბათი, კოული, პობორსკი, კინი, სქოულზი**

**0:1 ირვინი (30), 0:2 ბერგი (61), 0:3 კოული (88)**

თამაშის წინა დღეს თანამდებობიდან გადადგა „კოშიცეს" მწვრთნელი იან კოზაკი. ამან, ბუნებრივია, სლოვაკთა გუნდს თავისი დაღი დაასვა.

### იუვენტუსი 5:1 ფეიენოორდი

**იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი, ფერარა, მონტერო, დიმაში, კონტე, დეშამპი, ზიდანი (პესოტო 71), დი ლივიო, ინძაგი (ფონსეკა 81), დელ პიერო (ტაკინარდი 59)**

**ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, ფრეზერი, პიკუნი (კონოლი 68), გრაფი, ვან გასტელი, სანჩესი, ვან ბრონკჰორსტი, კრუსი, ბოსველტი, კორნეევი (ბოოტენგი 46)**

**1:0, 2:0 დელ პიერო (3, 11 პ), 3:0 ინძაგი (34), 3:1 ვან გასტელი (57 პ), 4:1 ზიდანი (63), 5:1 ბირინდელი (80)**

C ჯგუფი

### ნიუკასლი 3:2 ბარსელონა

**ნიუკასლი: გივენი, უოტსონი, ალბერი, ბარტონი, ბერესფორდი, ბეტი, ლი, ბარნსი (ქეცბაია 81), ტომასონი (პიკოკი 77), გილესპი, ასპრილია**

**ბარსელონა: ჰესპი, სელადესი, რაიციგერი, სერხი, ნადალი, დე ლა პენია, ამუნიკე (ჩირიჩი 46), ფიგუ, რივალდო, ლუის ენრიკე, ანდერსონი (დიუგარი 56)**

**1:0, 2:0, 3:0 ასპრილია (22 პ, 31, 49), 3:1 ლუის ენრიკე (73), 3:2 ფიგუ (89)**

ფაუსტინო ასპრილიას ჰეთ-თრიქიდან ორი გოლი ბრიტანელთათვის ჩვეული ლონიერი თაურით გავიდა. „ნიუკასლის" ირლანდიელმა მეკარემ შეი გივენმა რამდენჯერმე იხსნა გუნდი გოლისგან, მე-80 წუთზე კი რივალდომ ძელსაც გაურტყა.

### ეინდჰოვენი 1:3 დინამო

**ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ვან დერ ვეერდენი (ივანი 70), სტამი, ვალქსი, ნუმანი, პეტროვიჩი, იონკი, დეგრიზი (ნილისი 53), კოკუ, დე ბილდე (მიოლერი 77), ზენდენი**

**დინამო: შავკოვსკი, ვაშჩუკი, გოლოვკო, ხაცკევიჩი (ბელკევიჩი 55), კოსოვსკი, დმიტრულინი, კალიტვინცევი, მაქსიმოვი (მიხაილენკო 77), გუსინი (ბეჟენარი 72), შევჩენკო, რებროვი**

**0:1 მაქსიმოვი (33), 1:1 იონკი (40), 1:2 რებროვი (47), 1:3 შევჩენკო (90)**

უკრაინელებმა ოთხი კონტრშეტევიდან სამი გოლად აქციეს, დანარჩენი დრო კი მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ იონკის ზუსტი საჯარიმო დარტყმის გარდა ვერაფერს მიაღწიეს. ჩინებულად ითამაშა „დინამოს" 22 წლის მეკარე შავკოვსკიმ და თავისი გუნდის ჯგუფის ლიდერად ქცევაში უდიდესი წვლილი დაიდო, „ეინდჰოვენი" კი მეორედ თამაშობს ჩემპიონთა ლიგაში და მოგება ჯერ არ ღირსებია.

D ჯგუფი

### რეალი 4:1 რუსენბორგი

**რეალი: კანისარესი, რობერტო კარლოსი, კარანკა, იერო, პანუჩი, სანჩისი, ზე რობერტო (ვიქტორ სანჩესი 74), ზეედორფი, რაული, მიატოვიჩი (რედონდო 60), შუკერი (მორიენტესი 60)**

**რუსენბორგი: იამტფალი, ბიორგდოლმო, ჰოფტუნი, ბრაგსტადი, ჰეგემი, ბერგი, სკამელსრუდი, სტრანდი, იაკობსენი (მაიერი 74), რუშფელდტი (ბიოტენგი 60), ბრატბაკი**

**1:0 პანუჩი (4), 1:1 იაკობსენი (14), 2:1 ზე რობერტო (38), 3:1 რაული (43), 4:1 მორიენტესი (83)**



ასპრილია — ბარსას ჭირი

### ოლიმპიაკოსი 1:0 პორტუ

**ოლიმპიაკოსი: ტოჩოროღლუ, ვარესანოვიჩი, კარატაიდისი, ანატოლაკისი, იანაკოპულოსი, ნინიადისი, ალექსანდრისი (დაბიზასი 60), ივიჩი, ჯორჯევიჩი, პასალისი, გეორგატოსი (გოგიჩი 81)**

**პორტუ: კორეია, პაულინიუ სანტუში, ალოიზიუ, ფერნანდო მენდეში, კონსეისაუ, რუი ბარუში, ფოლია (არტური 60), დრულოვიჩი, ჟარდელი, ჟოაო პინტუ (ბაროსო 33), ზაჰოვიჩი**

**1:0 იანაკოპულოსი (6)**

„ოლიმპიაკოსის" გამარჯვება მათი მეკარის კირიაკოს ტოჩოროღლუს დამსახურებაა. ამ, როგორც წესი, სათადარიგო მეკარემ სულ მცირე სამჯერ იხსნა თანაგუნდელები.

E ჯგუფი

### ბაიერნი 2:0 ბეშიქთაში

**ბაიერნი: კანი, ბაბელი, ჰელმერი, მათეუსი, ჰამანი, ბასლერი (ლისარასუ 87), შტრუნცი, შოლი, ტარნატი, ელბერი (იანკერი 81), რიციტელი (ფინკი 52)**

**ბეშიქთაში: ფევზი, რაჰიმი, ალფაი, რეცეფი, ერქანი, ტაიფური, იანკოვი, მეჰმეთი (ლეჩკოვი 72), სერდარი (ერენი 78), ოქთაი, ამოკაჩი**

**1:0 ჰელმერი (3), 2:0 ბასლერი (70)**

„ბაიერნს" მესამეს გატანაც შეეძლო, მაგრამ შეცვლაზე შესულ კარსტენ იანკერს მეკარემ აუღო, განმეორებითი დარტყმა კი ძელს მოხვდა.

### პსჟ 3:0 გიოტებორგი

**პსჟ: ლეტიზი, ფურნიე (გერენი 78), როში, ლე გენი, დომი, ლეროი (ალჟერინო 70), ნგოტი, რაი (გისე 85), გავა, მორისი, სიმონე**

**გიოტებორგი: რაველი, მაგნუსონი, ერლინგმარკი, ლუკიჩი, ნილსონი, ლანდბერგი (ტეტე 57), ალექსანდერსონი, პეტერსონი, ერიქსონი, ექსტრიომი (კარლსონი 57), ანდერსონი**

**1:0 ნგოტი (28), 2:0 ლუკიჩი (51 საკ. კარში), 3:0 რაი (81 პ)**

„პარი სენ ჟერმენმა" წაუგებელ მატჩთა რაოდენობა ცხრამეტამდე გაზარდა.

F ჯგუფი

### სპორტინგი 3:0 მონაკო

**სპორტინგი: დე ვილდე, საბერი, აურელიო, ბეტო, სილვა, ოსვანუ, ლანჟი (რამირესი 84), პედრო მარტინში, მუსტაფა ჰაჯი (ბერტო 88), ბარბოსა (ალფონსო მარტინში 73), ლეანდრო**

**მონაკო: ბარტეზი, დიაო, დიუმა, ლეონარდი, პინიოლი (კონჩიჩი 46), და კოშტა (იკპება 46), ლეგვინსკი, კოლინზი, ბენარბია, შპეხარი, ტრეზეგე**

**1:0 ოსვანუ (3), 2:0 ჰაჯი (7), 3:0 ლეანდრო (64)**

### ლევერკუზენი 1:0 ლიერსი

**ლევერკუზენი: ჰაინენი, ჰაპე, ჰიორნსი, ნოვოტნი (ემერსონი 90), ნიკო კოვაჩი (რობერტ კოვაჩი 86), კირსტენი (რინკე 74), ჰაინცე, ბაინლიხი, ლენჰოფი, რამელო, მეიერი**

**ლიერსი: ვან დე ვალე, სერნელსი, ვან მეირი, ჰუისტრა (სკავონე 80), ლეენი, ჰაგდორენი, ჰაზენჰუტლი, ვან კერკჰოვენი, ზდებელი, ჰუფკენსი (ვან დე ვეიერი 68), ეფტევააგი**

**1:0 ბაინლიხი (40 პ)**

პენალტი ულფ კირსტენის წაქცევისთვის დაინიშნა. „ლევერკუზენი" ანგარიშის გახსნის შემდეგაც ფლობდა უპირატესობას, მაგრამ ბაინლიხის 77-ე წუთზე გაძევების შემდეგ ჩაცხრა.

## ქართულის გაკვეთილები

ასე დაასათაურა ბელარუსულმა გაზეთმა „პრესბოლმა" მპკც — „დინამოს" უეფას თასის პირველი ოცდამეთორმეტედფინალური მატჩის ანგარიში.

გუშინწინ ჩვენმა ჩემპიონმა მეთექვსმეტედფინალში გასასვლელად პირველი ნაბიჯი გადადგა — მინსკის მპკც-სთან სტუმრად 1:1 ითამაშა. „დინამო" პირველი ტაიმის ბოლოს დააწინაურა დავით მუჯირმა, რომელმაც წლევანდელ ევროტურნირებზე უკვე მეხუთე გოლი გაიტანა.

მატჩის რეპორტაჟი და დინამოელთა კომენტარი

იხილეთ მეორე გვერდზე

მოზირი
„იუნოსტი“
16 სექტემბერი

**მპკც 1:1 დინამო**

**მპკც:** გაევი, ლუკაშევიჩი, სისოევი, აპანასი, პოლიაკოვი, ლოვჩევი (ბანული 71), მალეევი (კუკარი 26, ვავილოვი 58), ბერიშვილი, გოროვოი, კუშნირი, დენისიუკი
**დინამო:** ზოიძე, კალაძე, ცქიტიშვილი, ჯულაძე, ლობჟანიძე, ჩხაიძე, გუჩუა, კიკნაძე, მუჯირი (ალექსიძე 75), გოგიჩაიშვილი, იაშვილი (მაჭავარიანი 90)
0:1 მუჯირი (42), 1:1 კუშნირი (50)
**გაფრთხილება:** გოგიჩაიშვილი, გუჩუა
**მსაჯი:** ლ. ირვინი (ჩრდ. ირლანდია)

# ქართულის გაკვეთილები

**დმიტრი ნავოშა,**
**რუსლან ბატენკოვი**
**მოზირიდან**

უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში მპკც-ს სადებიუტო შედეგს გამოკვეთილად დადებითი ან უარყოფითი ემოციები არ მოჰყოლია. საბოლოო ჯამში თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრის ლოგიკური დასასრული ფრე გამოდგა.

არადა, ნამდვილად თანაბარი მხოლოდ მატჩის პირველი ნახევარი იყო, რომელიც მოზირელებმა სტუმართა კარის სიახლოვეს მოპოვებული ორი ჯარიმით დაიწყეს. ორივეს შესრულებისას სისოევმა იშვიათი ერთფეროვნება გამოიჩინა — უნაყოფოდ ეცადა, ბურთი ქართველთა მიერ აღმართულ ცოცხალ კედელში გაეძვრინა. მანვე მიიღო უნებლიე მონაწილეობა პირველი ნახევარი საათის ყველაზე საგანგაშო მომენტში, როცა მასპინძელთა კარს საფრთხე დაემუქრა: სახიფათოდ ჩაჭრა რა გოგიჩაიშვილის ჩაწოდება, ბურთმა კარის ჩარჩოს სანტიმეტრებში ჩაუქროლა. პირველ ტაიმში უფრო უსიამოვნო მომენტი მასპინძლებს მაშინ დაუდგათ, როცა მალეევმა უწყინარ სიტუაციაში ფეხი დაიშავა. მისი გასვლის მერე მინდვრის შუაგული თბილისელებს უბრძოლველად გადაეცათ, რადგან მალეევის პარტნიორი ლოვჩევი ამ დღეს მომხდარისადმი გასაკვირად ინდიფერენტული გახლდათ და სამართლიანადაც შეცვალეს. გოლი მატჩის სიუჟეტიდან ლოგიკურად გამოდნა. სტუმართაგან საუკეთესომ, თავისუფალმა მხატვარმა გოგიჩაიშვილმა დასარტყმელად დაუგორა სამეკარეოს მარცხენა კუთხესთან მდგომ მუჯირს, რომელსაც დასამიზნებლად და მეკარისგან შორეულ კუთხეში გასატანად საკმარისი დრო აღმოაჩნდა.

მოზირელთა გასახარად, შესვენების შემდეგ მათ მალევე გამოუვიდათ მცირე კომბინაციური ეტიუდი. მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებით ბერიშვილმა პენალტის ნიშნულთან დენისიუკი მოძებნა, რომელმაც კუშნირს დაუგდო და ამან 16 მეტრიდან დაცხრილა ზოიძე — 1:1.

დარჩენილ დროში სტუმართა უპირატესობა უდაო იყო. ზედმეტი მოძრაობების გარეშე დინამოელებმა თამაშის ბოლოსთვის მეტი ძალა შემოინახეს, რითაც ისედაც მრავალტანჯულ მოზირულ ნახევარდაცვას უპრობლემოდ აჯობეს. მოკლედ, „დინამომ“ თავი არ გადაიტვირთა და ჩათვალა, რომ სტუმრად ფრე საერთო გამარჯვებისკენ გადადგმული თავდაჯერებული ნაბიჯი იყო. მპკც-ს ორ კვირაში საწინააღმდეგოს დამტკიცება მოუწევს.

აი, ასე შეაფასა ბელარუსულმა გაზეთმა „პრესბოლმა“ ჩვენი ჩემპიონის გუშინწინდელი თამაში.

თავად „დინამო“ მოზირიდან გამთენიისას დაბრუნდა. ბუნებრივია, მატჩის თაობაზე მოთამაშეთა კომენტარი ბევრს დააინტერესებდა და გუშინ შუადღისას დიღმის საწვრთნელ ბაზას მივაკითხეთ. თურმე ოთხშაბათი ბაზაზე დასვენების დღეა, ფეხბურთელებისგან იცლება, ამიტომ კოსმეტიკური სამუშაოები ტარდებოდა. უკან გამობრუნებას ვაპირებდით, როცა ნუგზარ ლობჟანიძეს ვკიდეთ თვალი. მოზირელებთან ორთაბრძოლის ამბებიც მას გამოვკითხეთ:

— მპკც უფრო ძლიერი გუნდი გვეგონა, მაგრამ მატჩის დასაწყისშივე შევეტყოთ, ქვეყნის დამქცევები რომ არ იყვნენ. ასეთი დონის გუნდებთან „დინამოს“ არ გაუჭირდება, უკვე გვაქვს საკმარისი გამოცდილება. ასე რომ, უპირატესობა თავიდანვე ჩვენი იყო. ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, თანაც ისეთები, ასპროცენტიანი რომ ეთქმის. მუჯირმა ლამაზად შესრულებული დარტყმით დაგვაწინაურა, მაგრამ დაცვაში ერთადერთი გაუგებრობა, უმნიშვნელო შეცდომა გაშვებული გოლის ფასად დაგვიჯდა. ამის შემდეგაც არაერთხელ უნდა გვეხეირა. ერთი ხელსაყრელი მომენტი მეც მქონდა. კუთხურიდან გოგიჩაიშვილის ჩამოწოდებულზე კარგი პოზიცია შევარჩიე, მაგრამ ახტომისას მზემ თვალი მომჭრა და მომენტიც გაცუდდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, შემდეგ წრეში გასვლა არ გაგვიჭირდება. ეს სიტყვები იმას არ ნიშნავს, ბელარუსებს გულარხეინად დავუხვდეთ, პირიქით, ძალების სრული მობილიზება, სერიოზულობა და სიფრთხილე გვმართებს.

ისიც შევიტყვეთ, მუჯირის გოლში ლომის წილი გოგიჩაიშვილსაც დაუდვია. კახას გარლევევას ზუსტი პასი, მეტოქის მცველის მოტყუება და მოჭრილი დარტყმით ლამაზი გოლი მოჰყოლია. კიდევ, ჩვენებს მეტოქე ფიზიკურად უფრო ძლიერები ეგონათ, მაგრამ მპკც „დინამოს“ ამ მხრივაც დაუჩაგრავს. გუჩუამ მეორე ყვითელი თანაგუნდელის არაზუსტი პასის მერე უხეშობისთვის მიიღო, ამიტომ, ბუნებრივია, განმეორებითი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

მოზირში ჩინებული სათამაშო მინდორი ჰქონიათ, სტადიონსაც არაუშავსო, გვითხრეს. მოკლედ, „დინამო“ მოწყენილი არ დაბრუნებულა. ჩემპიონი თბილისში დიდი ანგარიშით გამარჯვებას გეგმავს და ეს ეტაპი მისთვის, ალბათ, იოლი ლუკმა გახდება.

**მამუკა ქვანტალიანი**



დავით მუჯირმა ევროთასებზე მეხუთე გოლი გაიტანა

# ალექსანდრე ჩივაძე ნაკრებს დაუბრუნდა

**მომავალ კვირაში საქართველოს ოთხ ნაკრებს სხვადასხვა რანგის შესარჩევი მატჩები ელის. თვრამეტ წლამდე ნაკრები ხვალ გაემგზავრება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნეში, დანარჩენები კი ორშაბათს კიშინიოვში გაფრინდებიან, სადაც ჩვენი ეროვნულ-ახალგაზრდული ითამაშებენ, ყველაზე უმცროსები კი იქიდან რუმინეთში გადავლენ.**

**კიშინიოვი. 24 სექტემბერი**

ხვალიდან ეროვნული გუნდი დიღმის ბაზაზე შეიკრიბება და სამოლდოვო მზადებას შეუდგება. ნაკრების ხელმძღვანელობამ უძლიერეს შემადგენლობას უხმო. სულ 23 ფეხბურთელია გამოძახებული. აქედან კიშინიოვს ოდენ 18 გაემგზავრება. დევაძის ტრავმის შესახებ ადრეც გაცნობეთ, არც შელია-ცხადაძის ამბები დაგვიწყებია. მათ ტკივილები ჯერაც აწუხებთ. ახლა დაშავებულთა სიას კობიაშვილიც მიემატა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დავით ყიფიანს ცოტა საფიქრალი როდი აქვს. რა და როგორ იქნება, ხვალ გამოჩნდება, მაგრამ ფაქტი ერთია — ჯანმრთელი თუ ავადმყოფი 19-ში ბაზაზე უნდა იყოს...

მეკარეები — აკაკი დევაძე (იროni, აშდოდი), ნიკა ტოგონიძე (ბათუმი), ირაკლი ზოიძე (დინამო), ნიკა ჩხეიძე (ჰომბურგი); მცველები — გელა შეყილაძე (ბათუმი), ნუგზარ ლობჟანიძე (დინამო), კახა კალაძე (დინამო), გიორგი ჩიხრაძე (დინამო), ვალტერ გუჩუა (დინამო), კახა ცხადაძე, მურთაზ შელია (ალანია); ნახევარმცველები — ლევან კობიაშვილი, გოგა გახოკიძე (ალანია), გიორგი ნემსაძე (გრასჰოპერი), გიორგი დარასელია (ჰაპოელი, თელ ავივი), გიორგი ქინქლაძე (მანჩესტერ სიტი), კახა გოგიჩაიშვილი (დინამო), გოჩა ჯამარაული (ტრაბზონსფორი), თემურ ქეცბაია (ნიუკასლი); თავდამსხმელები — შოთა არველაძე (აიაქსი), არჩილ არველაძე (ბრედა), მიხეილ ყაველაშვილი (გრასჰოპერი), ალექსანდრე იაშვილი (დინამო)

**კიშინიოვი. 23 სექტემბერი**



ამასწინდელ ინტერვიუში ვლადიმერ გუცაევმა განაცხადა, სამოლდოვოდ მიხეილ ფოცხვერიას გარდა ყველა იმ ფეხბურთელის გამოძახებას ვაპირებთ, ვინც იტალიელებთან სათამაშოდ ემზადებოდაო, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ახალგაზრდული ნაკრები კიშინიოვში შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრება. წერეთელი ისევ კოპალეიშვილის ნაკრებისთვის დაუთმიათ, საჯაია ავადაა, ჩალაძეს ძველი ტრავმა ჯერაც არ მოშუშებია, ზირაქიშვილს მეორე გაფრთხილების გამო მოუწევს მატჩის გამოტოვება, ხოლო კიკნაძეს მოზირის თამაშის ბოლო წუთზე კუნთი გაუწყდა და სამკურნალოა.

სამაგიეროდ, ნაკრებში ერთი ახალწვეულია: მორკინალელი დათო პეტრიაშვილი.

მოკლედ, კიშინიოვში თამაშისთვის მოსამზადებლად გუცაევმა ესენი დაიბარა: მეკარეები — დავით გვარამაძე (მორკინალი), დავით ასლანაძე (ტორპედო); მცველები — გივი დიდავა, ირაკლი გემეზაშვილი, ლევან ცქიტიშვილი (დინამო), ლევან სილაგაძე (სკონტო), შალვა ხუჯაძე (ტორპედო), ჯონი შალამბერიძე (თსუ); ნახევარმცველები — ალექსანდრე გოგობერიშვილი, დავით მუჯირი (დინამო), ლაშა შონასელიძე (ასკ), გიორგი ქორიძე (თსუ); თავდამსხმელები — დავით პეტრიაშვილი (მორკინალი), მიხეილ აშვეთია (ალანია), ლევან ქებაძე (ტორპედო), რატი ალექსიძე (დინამო).

**ათენი. 24 სექტემბერი**



ჩვენმა თვრამეტწლამდელთა გუნდმა ბოლო ჟამს გამარჯვებებს ისე მიგვაჩვია, ქომაგთათვის ამათი მარცხი წარმოუდგენელია. ვახტანგ კოპალეიშვილის ბიჭებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიც ჩინებულად დაიწყეს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ესენი ნაღდად გაგვახარებენ. ყოველ შემთხვევაში, ჟინი და უნარი ნამდვილად არ აკლიათ.

19 სექტემბერს თვრამეტწლამდელთა ნაკრები ხანგრძლივ ევროპულ ტურნეზე მიეშურება. ჩვენებს პირველი ბრძოლა 24 სექტემბერს უწევთ ბერძენ თანატოლებთან, მერე 28 სექტემბერს მაკედონიას ესტუმრებიან, ბოლოს კი 2 ნოემბერს რუმინელებს ეთამაშებიან.

ნაკრების მწვრთნელებმა ამ მატჩებისთვის 18 ფეხბურთელს უხმეს:

**მეკარეები** — ზურაბ ბათიაშვილი (თსუ), ზვიად ხაჩირაშვილი (კოდაკო); **მცველები** — ვალერი აბრამიძე (დინამო), გიორგი შაშიაშვილი (დინამო), მამუკა წერეთელი (ვენტსპილსი), დავით ბაქრაძე (ლოკომოტივი), გურამ ხარებავა (თსუ), კახა ებრალიძე (ოდიში); **ნახევარმცველები** — თორნიკე აფციაური (ლოკომოტივი), კახა ახალაძე (ლოკომოტივი), დავით დიღმელაშვილი (დინამო), გივი კვარაცხელია (დინამო), ლევან კორღალიძე (დინამო), ოლეგ გველესიანი (დინამო); **თავდამსხმელები** — ლაშა ჯაკობია (სტანდარდი), გიორგი ფარქოსაძე (არმინია), გიორგი შენგელია (ტორპედო), არჩილ რომანაძე (ბათუმი).

როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა გვითხრა, განწყობა საბრძოლოა. მართალია, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, მაგრამ მცირე პრობლემები მაინც დაგროვებულა. კერძოდ, რუმინელებთან გაძევებული გივი კვარაცხელია ბერძნებთან მატჩს გამოტოვებს, მთლად ჯანზე ვერ ყოფილან ტორპედოელი გიორგი შენგელია და ბილეფელდელი გიორგი ფარქოსაძე. რაც შეეხება რუმინელებთან ზღაპრული გოლის გამტან ლაშა ჯაკობიას, იგი ბელგიიდან საბერძნეთში ჩავა და ნაკრებს იქ შეუერთდება.

**ბუქარესტი. 24 სექტემბერი**



ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების სერია თამაზ კოსტავას თექვსმეტწლამდელებსაც ეწყებათ. ესენიც ზედიზედ ორი სტუმრობით იწყებენ. ჩვენებს 24 სექტემბერს რუმინელი თანატოლები უმასპინძლებენ, 28 სექტემბერს კი უკრაინას ესტუმრებიან. თექვსმეტწლამდელები 22 სექტემბერს ეროვნულ და ახალგაზრდულ გუნდებთან ერთად მოლდოვაში ჩაფრინდებიან, იქიდან კი რუმინეთში გადავლენ. თამაზ კოსტავას რუმინეთსა და უკრაინაში 18 მოთამაშე მიჰყავს: მეკარეები — ჟიული ჭოლოკავა (დინამო), თამაზ ნინუა (დინამო); მცველები — ოთარ ხიზანეიშვილი (დინამო), ზურაბ ხიზანიშვილი (დინამო), ალექსანდრე ჩივაძე (დინამო), ლევან ჩარუა (კოდაკო), ედიკ საჯაია (დინამო), ალეკო ინწკირველი (ავაზა), დავით ქანთარია (დინამო), გიორგი წოწკოლაური (კოდაკო), გიორგი ადამია (დინამო); ნახევარმცველები — გიორგი დეკანოსიძე (დინამო), ლაშა ხმალაძე (დინამო), მიხეილ სოსელია (ავაზა), ცეზარ ხუროძე (დაუგავა); თავდამსხმელები — კახა წუწუნავა (კოდაკო), ირაკლი შენგელია (დინამო), ვიტალი დარჩიძე (ბათუმი).

ჩვენს თექვსმეტწლამდელთა ნაკრებზე კიდევ არაერთხელ მოგვიწევს ინფორმაციებისა თუ ინტერვიუების გამოქვეყნება, ამ ჯერზე კი ერთ ამბავს გაუწყებთ: ევროპული თასის ამღები თბილისის „დინამოს“ დიუსელდორფული შემადგენლობა ყველა ნაღდ გულშემატკივარს, რომ იტყვიან, ზეპირად ახსოვს, ჰოდა, ალექსანდრე ჩივაძისა და ნოდარ ხიზანიშვილის გვარები შეწყვეტილებულადაც მოიხსენიება. ცხადია, იკითხავთ, სად თექვსმეტწლამდელთა ნაკრები და სად ამგდარი ვეტერანებიო. საქმე ის გახლავთ, რომ ჩივაძისა და ხიზანიშვილის ვაჟები ალექსანდრე და ზურაბი კოსტავას ნაკრების წევრები არიან. მამათა მსგავსად, ისინიც მცველები არიან. ზურაბ ხიზანიშვილი ნაკრებში ადრეც ირიცხებოდა, სანდრო კი დებიუტანტი გახლავთ. მოკლედ, უმცროსმა ალექსანდრე ჩივაძემ დიდ ფეხბურთში შეაბიჯა.

სარეკლამო სააგენტო
**კოკი და კომპანია**
**რეკლამის დამზადება**
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
**კომპიუტერული მომსახურება**
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
**25% ფასდაკლებით!!!**
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

## [illegible] — დღეს თასების თასის მეთექვსმეტედფინალია

თასების თასის ახალი გათამაშების ლიდერებად „ჩელსი“ და „შტუტგარტი“ ითვლებიან. რატომ? იმიტომ, რომ დიდი გუნდები დიდ შეჯიბრებაში — ჩემპიონთა ლიგაში — თამაშობენ. ასე რომ, ლონდონურ და სამხრეთ გერმანულ კლუბებს თავისუფლად შეუძლიათ საფუძვლიანად იოცნებონ.

ამ მეოცნებეთ ბევრი რამ აქვთ საერთო. ორივემ დიდძალი ფული დახარჯა უცხოელ მოთამაშეთა საყიდლად, რათა ძლიერთა ამა ქვეყნისათა შორის დამკვიდრებულიყვნენ. აქვეა აღსანიშნავი, რომ „ჩელსი“ გახლავთ ერთი იმ ორ გუნდს შორის, რომელსაც თასთა თასი უკვე მოუპოვებია. ლონდონელებმა ეს 1971 წელს მოახერხეს, მეორე კი გახლავთ 1969 წლის გათამაშების გამარჯვებული ბრატისლავის „სლოვანი“, სწორედ ის, დღეს რომ ეთამაშება „ჩელსის“.

„შტუტგარტი“ ამ ეტაპზე გაცილებით იოლი ამოცანის წინაშე დგას. მისი მეტოქეა ისლანდიური „ვესტმანაეიარი“.

თასების თასის ტრადიცია ასეთი გახლავთ — მფლობელი შემდეგ წელიწადს შედეგს ველარ ან აღარ იმეორებს. ასე მოდის 1960-61 წლების გათამაშებიდან, როდესაც პირველად ჩატარდა შეჯიბრება ევროპულ ქვეყანათა ეროვნული თასების მფლობელებს შორის. ასე იქნება ახლაც, რადგან წინა გათამაშების ტრიუმფატორი „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობს.

თუ ბულგარელ ფეხბურთელს, შტუტგარტელ კრასიმირ ბალაკოვს დავუჯერებთ, თასების მფლობელთა თასის ახალი პატრონი მისი გუნდი გახდება.

— ეჭვი არ მეპარება, რომ გერმანიის თასის მოპოვება მხოლოდ დასაწყისია — განაცხადა მრავლის მიერ ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად მიჩნეულმა — ახალ სეზონში მე მინდა გერმანიის ჩემპიონი, გერმანიისა და თასების თასის მფლობელი გავხდე.

ბალაკოვი შესაძლოა ცოტა ამეტებს, მაგრამ „შტუტგარტი“ რომ ძლიერი გუნდია, ფაქტია. მოედანს თავი რომ დავანებოთ და ფურცელს დავხედოთ, იგივე აზრი გაგვიჩნდება — მის გარდა „შტუტგარტის“ სიაში არიან ფრედი ბობიჩი, ჯონათან აკპობორი, ფლორინ რადუჩოუ და სხვები.

არანაკლებ სახელდახუნძლულია „ჩელსი“, რომელსაც უცნობილესი რუუდ გულიტი წვრთნის. მის სიაში არიან ჯანფრანკო ძოლა, ჯანლუკა ვიალი, დან პეტრესკუ...

— ჩვენ უკეთესი შედეგის მიღწევას ვაპირებთ — განაცხადა გულიტმა, როდესაც მისმა გუნდმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში 2:0 მოუგო „მიდლსბროს“. გასულ შაბათს კი „ჩელსიმ“ „კრისტალ პალასთან“ 3:0 მოგებით გაივარჯიშა და პრემიერლიგაშიც მესამე ადგილზე დამკვიდრდა.

დღეს, რამდენიმე მეტ-ნაკლებად საინტერესო მატჩიცაა მოსალოდნელი. კერძოდ — „ბეტისისა“ და ბუდაპეშტის BVSC, „ვიჩენცა“ და ვარშავის „ლეგია“, ბელგიური „ეკერენი“ და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“, ალბათ, თვალსასეიროდ შეებმებიან ერთმანეთს.

„ბეტისი“ — გუნდი, რომელიც, ალბათ, შორს წავა — ნიგერიელი ფინიდის გარეშე ითამაშებს. ფინიდი დისკვალიფიცირებულია.

„ვიჩენცას“ მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი კი „ლეგიასგან“ დიდ წინააღმდეგობას ელის.

— არ მგონია, მათზე ძლიერი მეტოქე სხვაც იყოს — განაცხადა მან საშინაო მატჩის წინ — თანაც, გაცილებით გვერჩივნა, პირველი მატჩი სტუმრად ჩაგვეტარებინა.

სხვა შეხვედრებში კი, ალბათ, ბევრი გოლი გავა. მაგალითად, ლატვიური „დინაბურგი“ ათენში, აეკ-ის წინააღმდეგ, ალბათ, ძლიერ განაწყენდება, პრაღის „სლავია“ კი შეეცდება შვეიცარიელებზე შური იძიოს. გასულ წელს, ჩემპიონთა თასის შესარჩევ რაუნდში, მან „გრასჰოპერთან“ 0:5 წააგო. ახლა მას „ლუცერნი“ ჩაუვარდა ხელთ.

— შარშან ჭკუა ვისწავლეთ, წლეულს კი იმედი მაქვს, შემდეგ ეტაპზე გავალთ — განაცხადა სლავიის მწვრთნელმა ფრანტიშეკ სიპრომ.

*პატრიკ ვიგნალი,*
*როიტერი*

# ქართველები ზაგრებში. მეორე სერია

UEFA CUP

## უეფას თასის 1/32 ფინალის პირველი მატჩების მიმოხილვა

გლაზგოს „პარკჰედზე“ შეკრებილ 48 526 გულშემატკივარს არასდროს დაავიწყდება ის საღამო, როდესაც შოტლანდიურმა და ინლისურმა კლუბებმა, „სელტიკმა“ და „ლივერპულმა“, მეტისმეტად ემოციურ შეხვედრაში ორ-ორი გოლი გაუტანეს ერთმანეთს. არ დაავიწყდება თუნდაც მაკმანამანის მიერ თამაშის სულ ბოლოს გატანილი გოლის გამო. თუნდაც იმიტომ, რომ ლივერპულელთა პირველი ტაიმის უპირატესობას და გოლს მეორეში სელტიკელთა აღზევება მოჰყვა. ანგარიში 0:1-დან 2:1 გახდა. ვიმ იანსენის ბიჭები ის-ის იყო საზეიმოდ ხელების აღმართვას აპირებდნენ, რომ მაკმანამანმა საუცხოო სოლო რეიდით გუნებაგანწყობა მერამდენედ შეატრიალა.

სტუმართა ბოლო გოლმა სტადიონის შოტლანდიური გუგუნი დაადუმა. ასეთი რამ მათ პირველ გოლს არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი თამაშის დაწყებიდან ექვს წუთში გავიდა. მისი ავტორი გახლდათ მაიკლ ოუენი, ფეხბურთელი, რომელსაც მწვრთნელი როი ევანსი ენდო. უნდა ითქვას, რომ ევანსმა იმ საღამოს შედარებით ფრთხილ ტაქტიკას მიმართა და სწორედ ასეთ გეგმაში მიენიჭა ოუენს საგანგებო როლი. ოუენმა იმედი გაამართლა. მას ასისტენტობა კარლ-ჰაინც რიდლემ გაუწია. რიდლე მოედნის შუაში გაისარჯა გონივრულად, ოუენმა კი ბურთით ისეთი სისწრაფე განავითარა, რომ შოტლანდიელთა მეკარემ ჯონათან გოულდმა ხეირიანი ვერაფერი დაუპირისპირა.

ეს გოლი, რომელიც 17 წლის მოთამაშემ შეაგდო, გახლდათ კლასიკური ნიმუში იმისა, როგორ უნდა მიაღწიო მიზანს მსგავს სიტუაციაში. ცოტა ხანში მაკმანამანმა აჩვენა იმის მაგალითი, როგორ არ უნდა ითამაშო ისეთსავე მდგომარეობაში — ოუენის პასით მან სტეფან მეის აუარა გვერდი და როდესაც დასამარცხებელი მოწინაამდეგის მეკარეღა დარჩა, გამოფხიზლებულ მცველებს ბურთი აართმევინა.

„ლივერპულს“ კიდევ შეეძლო „სელტიკის“ მორალურად გატეხვა, მაგრამ რიდლემ ორიოდ გოჯით ააცილა მიზანს. იანსენის ბიჭები კი ამასობაში გონს მოდიოდნენ და ნელ-ნელა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანთან ხლაფორთს ეჩვეოდნენ. გლაზგოელ ქომაგთა ღრიალი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მართლაც — მტკიცე ნერვების პატრონი გამოდგა იტალიელი არბიტრი გრაციანო, დომინიკ მატეოს მიერ კრეიგ ბარლისთან შებრძოლების შემდეგ მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტი რომ არ დანიშნა.

მიუხედავად ამისა, სტუმართა მეკარეს, დევიდ ჯეიმსს პირველ ტაიმში ჯაფა პრაქტიკულად არ დასდგომია. იგი ერთადერთხელ მაშინ ჩაერთო საქმეში, საიმონ დონელიმ უკეთეს პოზიციაში მყოფ ჰენრიკ ლარსონს რომ არ გადააწოდა ბურთი და თავად დაარტყა.

მეორე ნახევრის დასაწყისში „სელტიკის“ მეკარემ რიდლეს სახიფათო დარტყმას ოსტატობა დაუპირისპირა და ანგარიში უცვლელად დასტოვა: გერმანელმა ბიორნებიუს ჩაწოდებულ კუთხურს მაღალ ნახტომში უხელთა და ძლიერი თაური დაჰკრა, მაგრამ გოლკიპერს ვერ აჯობა. ჩამოვარდნილ ბურთთან ყველაზე ადრე მატეო მიქანდა და კვლავ კართან დააბრუნა იგი, მაგრამ პოლ ინსი ოდნავ მოშორებით აღმოჩნდა.

იგრძნობოდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო. მოხდა კიდეც: ჯეკი მაკნამარამ კრეიგ ბარლისთან ერთი-ორი გაითამაშა და მიბრუნებულ ბურთს საგოლედ დაჰკრა.

მსაჯებსა და სტუმრებზე საოცარმა ზეწოლამ იმატა, რამაც შედეგად პენალტი მოიტანა. მორტენ ვიგჰორსტის პასით ლარსონმა საჯარიმოში ამოჰყო თავი. იქ მას გამოვარდნილი მეკარე დაეძგერა და თერთმეტი მეტრის სამართალიც დაინიშნა. დონელიმ, როგორც სჩვევია, ისე დაარტყა — ხარიხის ოდნავ ქვემოთ.

ბოლოს კი იყო ის, რითაც დავიწყეთ. მაკმანამანმა ძალიან შორიდან წაიღო ბურთი, თანაგუნდელებმა მეურვეები გაიყოლიეს, სტივმაც შემხვედრთ თავისი დრიბლინგი აგემა და როგორც უკვე მოგახსენეთ, გლაზგოური პუბლიკის ღრიანცელი დააცხრო.

გლაზგოელთა მეორე ნახევარი, ის, „სელტიკს“ რომ მტრობს და მის წარმატებას ვერ იტანს, იმავ საღამოს სხვა საქმით იყო დაკავებული — „რეინჯერსს“ ქომაგობდა ფრანგული „სტრასბურის“ წინააღმდეგ. სტრასბურში გამართულ ამ შეხვედრაში მასპინძელთა თავდამსხმელის ჟერალ ბატიკლის მიერ გატანილი ორი პენალტი „რეინჯერსის“ იორგ ალბერტცის ერთ პენალტზე მეტი გამოდგა და თამაში ასეც დამთავრდა.

პირველი თერთმეტმეტრიანი ფრანგებმა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაიტანეს. იოახიმ ბიორკლუნდმა საჯარიმო-



REUTERS სტრასბურიდან

სტრასბური — რეინჯერსი. პოლ გესქოინს დენი კონტე ეომება

ში ბატიკლი წააქცია და წაქცეულმა, წამოდგომის შემდეგ, თეო სნელდერსის კარის კუთხეში მოათავსა ბურთი. ტაიმის ბოლოს გოლის გაშვება ნებისმიერი გუნდისთვის მტკივნეულია, მით უმეტეს, თუ ის ტაიმი ურიგოდ არ გითამაშია. შესვენებამდე სტუმრები უფრო ხშირად ფლობდნენ ბურთს, ამ საქმით, უპირველეს ყოვლისა, მათი ორი მოთამაშე, პოლ გესქოინი და ბრიან ლაუდრუპი იყვნენ დაკავებული. მიუხედავად ასეთი უპირატესობისა, მასპინძელთა სწრაფი და კონკრეტული შეტევები მათ დაცვას ფრიად ანერვიულებდა.

მეორე ტაიმი რამდენიმე წუთის დაწყებული გახლდათ, როდესაც ლაუდრუპის წინააღმდეგ წესი ხეილიპ რაშკემ საკუთარ საჯარიმოში დაარღვია და ალბერტცმა ანგარიში გაათანაბრა. თამაშის მესამე გოლი კი პენალტისტთა დაპირისპირებისა და ისევ პენალტის წყალობით გავიდა: ალბერტცმა ბატიკლი წააქცია, ბატიკლმა მეორედ გაიტანა.

მეორე ფრანგულმა გუნდმა „ბორდომ“ ინგლისურ „ასტონ ვილას“ შინ — არც გაგიტან, არც გაგიშვებ — ეთამაშა. შეხვედრა „ლესკურის“ სტადიონზე, სადაც გაისად მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრები გაიმართება, ნახევრად სავსე ტრიბუნების ხმაურში ჩატარდა. თავიდან ორი სახიფათო მომენტი მასპინძლებს ჰქონდათ: სტივ სტონტონმა შეცდომა დაუშვა და ბურთი პაპენს ჩააბარა. ამან დაუყოვნებლივ მიაწოდა ლილიან ლასლანდს, რომლის სხარტი დარტყმული სტუმართა კარს გადასცდა. მეორე მომენტიც ლასლანდისა გახლდათ. იგი სილვენ ვილტორდის ჩაკიდებულს შეწვდა და მარკ ბოზნიჩს დაანახა, როგორ ხვდება ბურთი მისი კარის მარჯვენა ძელს. შემდეგ, აქაიქ ორივე გუნდის კართან იქმნებოდა სახიფათო და მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტები, მაგრამ ხაზი ბურთს არ გადაუკვეთია.

მოგეხსენებათ, იმდენი გუნდი, რამდენიც ფრანგებს, უეფას თასზე სხვას არავის ჰყავს. გარდა რაოდენობისა, ფრანგებმა ხარისხითაც ფრიად გამოიჩინეს თავი. თავად განსაჯეთ, შვიდი გუნდიდან ხუთმა გაიმარჯვა, ხოლო ორმა ფრედ ითამაშა. გამარჯვებულთაგან კი ორმა, „მეცმა“ და „ოსერმა“, სტუმრად მიაღწია საწადელს.

უცნაურად ბევრი გოლი გავიდა ავსტრიული „ზალცბურგისა“ და ბელგიური „ანდერლეხტის“ შეხვედრაში. ავსტრიის ჩემპიონმა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში შეღწევა ვერ მოახერხა, საეჭვო ნაბიჯი გადადგა საპასუხო შეხვედრისკენ.

ერთბურთიანი უპირატესობით, ოღონდ, ადამიანური ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა მადრიდის „ატლეტიკომ“. მან ინგლისურ „ლესტერს“ სძლია. თუ გავიხსენებთ, რომ მადრიდელთა პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილმა ახალი ფეხბურთელების შეძენას დაახლოებით 80 მილიონი დოლარი დაახარჯა, შესაძლოა, ანგარიშის ხელახლა წაკითხვამ გაგვაკვირვოს კიდეც, მაგრამ თუ იქვე ლესტერელი ბიჭების წლევანდელ თამამ პრემიერლიგურ სტარტს მოვიგონებთ, გაოცება ცოტა დაგვიცხრება.

ამ შეხვედრაში ანგარიში ინგლისელებმა გახსნეს. ეს მათი მეორე შეტევა გახლდათ. ემილ ჰესკიმ კუთხური ჩააწოდა. მადრიდელებმა ბურთი გამოიტანეს, მაგრამ ნილ ლენონმა იგი კვლავ სახიფათო ზონაში დააბრუნა, სადაც იან მარშალმა მკერდით გაისწორა და კინაღამ გოლი გაიტანა. კუთხურს კუთხური მოჰყვა. სტივ გაპიმ პარკერს მიუგორა, ამან საჯარიმოს გადაღმა ჩაჰკიდა, იქიდან სტივ უოლშმა მოვლენათა ცენტრში ჩააგდო, სადაც ზემოხსენებულმა მარშალმა გამოთქმას — კინაღამ გაიტანა — სიტყვა კინაღამ მოაშორა.

თითქოს კორიდის ხარს წითელი ნაჭერი აუფრიალეს თვალთანო, ესპანელები გამძვინვარებულნი მიუხდნენ სტუმართა კარს და შეტევას შეტევა მიაყოლეს. სტუმრები ასეთი სცენარისთვის მზად იყვნენ — მწვრთნელს, მარტინ ონილს ჰყავდა გაფრთხილებული და ისინიც გაფრთხილებისა და დარიგების შესაბამისად იცავდნენ თავს. შვედი პონტუს კამარკი მრისხანე ჟუნინიოს აეკიდა ლანდივით და აღსანიშნავია, რომ ხშირ ორთაბრძოლებში სჯობდა კიდეც. მაგრამ „ატლეტიკო“ მხოლოდ ჟუნინიო ხომ არ არის, იქაა ვიერი, კიკო, კამინერო...

სადაც ვიწრო იყო, გაწყდა: ჟუნინიო კამარკს დაუსხლტდა, ბურთი ვიერის გაუთამაშა და კარის ხაზიდან გამოსულ ამერიკელ გოლკიპერს კეისი კელერს გაუტანა. გაშვებული გოლის შემდეგ „ლესტერი“ გოლის [illegible] აპირებდა, მაგრამ არ [illegible] წააქცია, რისთვისაც პენალტი დაინიშნა. კრისტიან ვიერიმ კი [illegible] თერთმეტი მეტრიდან დამსახურებული გამარჯვება მოუტანა.

გია ნემსაძისა და მიშა ყაველაშვილის „გრასჰოპერმა“ ამბიციურ ხორვატებთან გვარიანი ბრძოლა გამართა. მართალია, 4:4 ჰოკეის ანგარიშს უფრო ჰგავს, მაგრამ ციურიხელთა თავკაცს, კრისტიან გროსს ეს არ შეაწუხებს. ქეცბაიას მიერ ჩემპიონთა თასიდან გაგდებულ „კროაციასთან“ სტუმრად ფრე შემდეგ წრეში გასასვლელად შვეიცარიელებს უფრო მეტ შანსს უტოვებს. თანაც, კალიებმა ფაქტობრივად წაგებული თამაში იხსნეს.

გია ნემსაძეს ხორვატები ძლიერ მოსწონებია:

— „კროაცია“ ხეირიანი გუნდია, ინდივიდუალურად ძლიერი მოთამაშეები შემტევ და კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობენ, ორთაბრძოლებშიც ჭირდა მათთან გამკლავება.

**— ასეთი, წესით, ოთხ ბურთს არ უნდა უშვებდეს...**

— ბედი გვწყალობდა. მოლდოვანის პირველ, რიკოშეტით გატანილ გოლს სხვას ვერ მივაწერ. მეკარეც რამდენჯერმე უხეშად შეცდა. თანაც ღია ფეხბურთი ითამაშეს და ჩვენ კონტრშეტევებით ვიხეირეთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „გრასჰოპერიც“ კარგი გუნდია და მეტოქის სისუსტით სარგებლობა ძალუძს. ამავე დროს ხორვატები მეორე ტაიმში დაიღალნენ და თავდაპირველი სიმწვავით ველარ იჩხვლიტებოდნენ.

**— შენ და ყაველაშვილი რომელ პოზიციაზე თამაშობდით?**

— მიშა მარჯვენა ნახევარმცველად გაამწესეს. მანაც დიდი სამუშაო ჩაატარა და თითქმის ყველა შეტევაში მონაწილეობდა. მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ მისმა ჩართვებმაც გაამწვავა ჩვენი შეტევები. მე კი გროსმა საყრდენ ნახევამცველად დამაყენა და ხორვატების უკანდახეული თავდამსხმელის მარიჩის მეურვეობა დამეკისრა, თუმცა ხორვატები თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე უტევდნენ და ამის გამო ძირითადად დაცვაში ვმოქმედებდი. შეტევებში ეპიზოდურად თუ ვერთვებოდი.

ყაველაშვილი ზაგრებელთა შეფასებაში ნემსაძეს დაეთანხმა:

— „კროაცია“ მართლაც ძლიერი გუნდია, საუცხოო ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ ორგანიზაციაში მოიკოჭლებდნენ, დაცვაც სუსტი ჰყავდათ. და მაინც, ვფიქრობ, გაგვიმართლა. თამაში „კროაციას“ უნდა მოეგო, მაგრამ კონტრშეტევებზე დავიჭირეთ და გავტეხეთ ხორვატები. გროსმა კარის მშრალად შენახვა დაგვავალა, თამაში კი ისე წარიმართა, გოლები პანტა-პუნტით გადიოდა. მასპინძლებმა შემტევი ტაქტიკა ამჯობინეს, პერსონალურ მეურვეობას მოერიდნენ და ზონებსაც ხშირად ათავისუფლებდნენ. ბოლოს კი სულ მთლად აირივნენ. მეკარეც ხშირად ცდებოდა — ორი გოლი მის კისერზეა, თუმცა მას არც ჩვენი მეკარე ჩამორჩა.

**— შენ რატომ გამოგცვალეს?**

— ბოლოს დავიღალე და, ბუნებრივია, მთელი ძალით ვერ ვთამაშობდი. გროსმა პირველად მანდო მარჯვენა ფლანგი, რადგან ჩვენს ამ პოზიციის ნახევარმცველს ორი ყვითელი ჰქონდა. მან ისიც იცოდა, რომ იტალიის ნაკრებთანაც ეს ფუნქცია დამეკისრა.

„გრასჰოპერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ცუბერბიულერი, ჰაასი, გრენი, სმოლიანიჩი, კრისტი, ნემსაძე, ყაველაშვილი (აჰინფული 61), გოგელი (მაცარელი 54), ესპოზიტო (ტიკვა 84), მოლდოვანი, თურქილმაზი.

**პაპუნა ძიძია**

### ბორდო 0:0 ასტონ ვილა

**ბორდო:** რამე, გრალაკი, საველიჩი, აფანუ, მუსამბა, პავონი, ლუკინი (დიაბატი 84), გრენე (ფერიე 73), ლასლანდი, ვილტორდი, პაპენი (დიავრე 84)

**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, ნელსონი, რაიტი, ეჰიოგუ, სტონტონი, საუთგეიტი, ტეილორი, გრეისონი (ჩურჩიჩი 53), დრაპერი, იორკი, კოლიმორი

### სამპდორია 1:2 ბილბაო

**სამპდორია:** ფერონი, ბალერი, მანინი, მიხაილოვიჩი, ლეილი, ვერსნი, ბოლოსიანი, ფრანჩესკეტი (ტოვალიერი 59), მორალესი, კლინსმანი (დიკიო 70), მონტელა

**ატლეტიკი:** ეჩებერია, რიოსი, კარლოს გარსია, ლარასაბალი, ნაგორე, ლარაინსარი, ურუტია, ლასა (გოიკოეჩეა 70), ალკისა, ხავი გონსალესი (გარიტანო 80), ურსაისი (ბერიმეხო 60)

0:1 რიოხი (18), 0:2 ლარაინსარი (61), 1:2 ბოლოსიანი (73)

### სელტიკი 2:2 ლივერპული

**სელტიკი:** გოულდი, ბოიდი, მეი, მაკნამარა, სტაბსი, ლარსონი, ბარლი, ბლინკერი (ოდონელი 46), დონელი, ჰანა, ვიგჰორსტი

**ლივერპული:** ჯეიმსი, ჯოუნზი, ბიორნებიუ, კვარმე, რაიტი, მატეო, მაკმანამანი, ინსი, რიდლე, ოუენი, ტომასი

0:1 ოუენი (6), 1:1 მაკნამარა (53), 2:1 დონელი (74 პ), 2:2 მაკმანამანი (90)

### პაოკ 1:0 არსენალი

**პაოკ:** მიკოპულოსი, ოლივარესი, ტაციოპულოსი, კოლობურდისი, ზაფირიუ, ზაგორაკისი, ფრანცესკოსი, ვირზასი (კაპეტანოპულოსი 59), ტურსუნიდისი, ნაგბე (ველისი 75), ზუმპურისი

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, ვინტერბერნი, ვიეირა, ბოულდი, ადამსი, რაიტი, ანელკა (ვრე 75), პარლოუ (პლატი 70), პეტი ოვერმარსი (ბოა მორტე 70)

1:0 ფრანცესკოსი (61)

### სტრასბური 2:1 რეინჯერსი

**სტრასბური:** ვენცელი, რაშკე, სუხოპარეკი, ოკპარა, კოლეტი (კინე 35), არპინონი (მიცელი 12), ბატიკლი, კონტე (რაბა 77), მგოგი, დაკურტი, ნუმა

**რეინჯერსი:** სნელდერსი, პორინი, პეტრიჩი, ბიორკლუნდი, ვიდმარი (ანდერსენი 70), გატუზო (მილერი 46), მაკკოლი, გესქოინი, ალბერტცი, დიური, ლაუდრუპი

1:0 ბატიკლი (44 პ), 1:1 ალბერტცი (49 პ), 2:1 ბატიკლი (60 პ)

### ატლეტიკო 2:1 ლესტერი

**ატლეტიკო:** მოლინა, ტონი (ხოსე მარი 58), ანდრეი, ჟუნინიო, ვისკაინო (ბეიბლი 64), ლარდინი, კიკო, ჯელი, კამინერო (პანტიჩი 77), პროდანი, ვიერი

**ლესტერი:** კელერი, უოლში, იზეტი, ლენონი, პარკერი (ფენტონი 71), კამარკი, პრაიორი, ელიოტი, მარშალი (კლარიჯი 30), გაპი, ჰესკი

0:1 მარშალი (11), 1:1 ჟუნინიო (70), 2:1 ვიერი (72 პ)

### უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი

პირველი მატჩები. 16 სექტემბერი

UEFA CUP

მპკც (მოზირი, ბელარუსი) — დინამო (თბილისი) 1:1
როტორი (ვოლგოგრადი, რუსეთი) — ერებრუ (შვედეთი) 2:0
**1:0 ბურლაჩენკო (45), 2:0 ვერეტენნიკოვი (55)**
ჯაზი (პორი, ფინეთი) — მიუნხენ 1860 (გერმანია) 0:1
**0:1 აბედი პელე (90)**
ბეითარი (იერუსალიმი, ისრაელი) — ბრიუგე (ბელგია) 2:1
**1:0 პიშონტი (47), 2:0 სალოი (50), 2:1 ჟბარი (57)**
მარიბორი (ბრანიკი, სლოვენია) — აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია) 1:1
**1:0 ჩეპი (47), 1:1 ლიტმანენი (66)**
ტრაბზონსფორი (თურქეთი) — ბოხუმი (გერმანია) 2:1
**0:1 ბალუშინსკი (2 პ), 1:1 ჰამი (23 პ), 2:1 გუნერი (43)**
ვიძევი (ლოძი, პოლონეთი) — უდინეზე (იტალია) 1:0
**1:0 ბოგუში (65)**
კარლსრუე (გერმანია) — ანორთოსის ფამაგუსტა (კვიპროსი) 2:1
**1:0 რეჯისი (26), 1:1 ხარალამბუსი (34), 2:1 შროტი (88)**
ზალცბურგი (ავსტრია) — ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია) 4:3
**1:0 კლაუში (33), 1:1 იაშჩუკი (34), 2:1 გლიდერი (50), 3:1 კლაუში (53), 3:2 გორი (59), 4:2 გლიდერი (64 პ), 4:3 სტოიკა (80)**
მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — ალანია (ვლადიკავკაზი, რუსეთი) 3:0
**1:0 ილეში (55), 2:0 პრაისინგერი (74), 3:0 ლორინცი (88)**
სიონი (შვეიცარია) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) 0:1
**0:1 კეჩინოვი (73)**
სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 0:0
ტვენტე (ენსხედე, ჰოლანდია) — ლილესტრიომი (ნორვეგია) 0:1
**0:1 მამადუ (25 პ)**
პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) — არსენალი (ინგლისი) 1:0
მუსკრონი (ბელგია) — მეცი (საფრანგეთი) 0:2
**0:1 მეირი (19), 0:2 როდრიგესი (22)**
ორჰუსი (დანია) — ნანტი (საფრანგეთი) 2:2
**0:1 გურვენკი (11), 1:1 პეხნიკი (18), 1:2 ნდიაე (24), 2:2 ჰალუმი (75)**
კროაცია (ზაგრები, ხორვატია) — გრასჰოპერი (ციურიხი, შვეიცარია) 4:4
**0:1 მოლდოვანი (20), 1:1 სარიჩი (23), 2:1 ვიდუკა (42), 3:1 პროსინეჩკი (58 პ), 3:2 მლადინიჩი (62 ს.კ.), 3:3 თურქილმაზი (65), 4:3 ცვიტანოვიჩი (78), 4:4 მოლდოვანი (79)**
ლიონი (საფრანგეთი) — ბრონდბიუ (დანია) 4:1
**1:0 კანუტე (20), 1:1 დოუგარდი (34 პ), 2:1 ლინარი (50), 3:1 კარტერონი (63), 4:1 ჟოული (75)**
შალკე 04 (გერმანია) — ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია) 2:0
**1:0, 2:0 გუსენსი (7, 22)**
ბასტია (საფრანგეთი) — ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) 1:0
**1:0 ანდრე (80)**
ოფი კრეტა (საბერძნეთი) — ფერენცვაროში (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 3:0
**1:0 პაპადოპულოსი (21), 2:0 გუნენაკისი (57), 3:0 ნიობლიასი (86)**
სამპდორია (იტალია) — ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი) 1:2
ბორდო (საფრანგეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი) 0:0
რაპიდი (ავსტრია) — ჰაპოელი (ფეთახ თიკვა, ისრაელი) 1:0
**1:0 ფრეინდი (37)**
ინტერი (მილანი, იტალია) — ქსამაქსი (შვეიცარია) 2:0
**1:0 რონალდო (58), 2:0 ზე ელიასი (71)**
დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი) — ოსერი (საფრანგეთი) 1:2
**0:1 დიომედი (72), 0:2 გივარში (84), 1:2 ჯალმინია (87)**
ვალიადოლიდი (ესპანეთი) — სკონტო (რიგა, ლატვია) 2:0
**1:0 როდრიგესი (30 პ), 2:0 ედუ (55)**
სტრასბური (საფრანგეთი) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) 2:1
სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) — ლივერპული (ინგლისი) 2:2
ვიტესი (ჰოლანდია) — სპორტინგი (ბრაგა, პორტუგალია) 2:1
**1:0 ჩუროვიჩი (33), 2:0 ტრასტფული (85 პ), 2:1 კაროლიანი (90 პ)**
ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი) — ლესტერ სიტი (ინგლისი) 2:1
ვიტორია (გიმარაეში, პორტუგალია) — ლაციო (იტალია) 0:4
**0:1 კაზირაგი (48), 0:2 ფუზერი (62), 0:3 ნედვედი (69), 0:4 ნესტა (78)**

# ასეთი მარტო...

## ჯამარაულს ხუთი თვეა ხელფასს არ აძლევენ



ვიცით ხოლმე ზოგჯერ თქმა, ამან მარტომ მოიგო თამაშიო. იმ ფეხბურთელს ვგულისხმობთ, ვინც მატჩში ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი. ახლა კი, გულზე ხელი დავიდოთ და გავიხსენოთ, ასეთი მარტო რამდენჯერ ყოფილა გოჩა ჯამარაული, რომელსაც თუნდაც იმ ერთ, უფრო სწორად, ორი მატჩისთვის ეგების ისეთი დაფასება და პატივი, როგორიც სხვებს. ამ მატჩებში, მიხვდებოდით, შარშანდელ შემოდგომას მოსკოვის „ტორპედოსთან" გამართულ ორრაუნდიან შეხვედრას ვგულისხმობდი. ვგულისხმობდი და თვალწინ ის ორი გოლი წარმომიდგა, რუსები რომ გაართგნა. ახლა რა ხდება? რა და, საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ დროს ნაკრების მუდმივი წევრი ეროვნული გუნდის მიღმა დარჩა. მიზეზის ძებნა ჯამარაულის უთამაშებლობაში შეიძლებოდა, მაგრამ თვითონ გოჩა სხვაგვარად ფიქრობს. არადა უსიამოვნო ფაქტი ჯიუტია — მაშინ, როცა ყველა საფეხბურთო ქვეყანაში ჩემპიონატებია გაჩაღებული, ჯამარა თბილისშია და დიღმის ბაზაზე მარტო ვარჯიშობს. ისე კი, დღემდე „ტრაბზონსფორის" ფეხბურთელად ითვლება.

— ახლავე დავბრუნდებოდი „ტრაბზონში" და სიამოვნებითაც ვითამაშებდი, ოღონდ საქმე ისაა, რომ ილმაზ ურალი არ მათამაშებს. ჰოდა, რა აზრი აქვს იქ დაბრუნებას. მთავარ მწვრთნელს რატომღაც თვალში არ მოვუდივარ, ამიტომაც ტრანსფერზე დამაყენა, გარკვეულ თანხას ითხოვენ ჩემს სანაცვლოდ. აი, ეს მაკავებს, თორემ ახლავე გავაგრძელებდი სხვა კლუბში თამაშს. ყველაფერი უახლოეს სამ-ოთხ დღეში უნდა გაირკვეს. თუ გამოჩნდა „ტრაბზონისთვის" ფულის გადამხდელი გუნდი, ხომ კარგი, თუ არა, იძულებული ვიქნები, ისევ თურქეთში დავბრუნდე.

**— ხელფასი კიდევ არ აგიღია?**

— არა, ხუთი თვეა არაფერი მოუციათ. ახლა ჩემი მენეჯერი ბენეში სწავლობს ამ საქმეს და ღმერთმა ქნას, თუ ჩვენს სასიკეთოდ წერია ფიფას დებულებაში რამე, ანუ პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ფეხბურთელი კლუბისგან თავისუფალიაო, მაშინ არც ახალ კლუბს ექნება „ტრაბზონისთვის" ფული გადასახდელი და მეც თავისუფალი აგენტი გავხდები. თუ ასე არ მოხდა, თურქები, ცხადია, იქნებიან ვალდებულნი, იმ ხუთი თვის ხელფასი გადამიხადონ. თავიანთი ჭკუით, დამაჯარიმეს, წინა სეზონის დამთავრებისას ქართველებისთვის ორი თვის თანხა ჰქონდათ მისაცემი, ტყუპებს და ნემსაძეს უთხრეს, თქვენ ყველაფერს მოგცემთ, კონტრაქტი უკვე დაგიმთავრდათ, ჯამარაულს კი კიდევ აქვს ჩვენთან სათამაშო გაისამდე და როცა აქ ჩამოვა, ხელფასსაც მაშინ მიიღებსო. ახლა ამბობენ, დაგაჯარიმეთო, არადა, დაჯარიმება ხელფასიდან 10 პროცენტის დაქვითვით ხდება. როცა თურქეთში ჩავალ, თუ ისევ არ გადამიხდიან, მაშინ საბოლოოდ დავადებ თავს, წამოვალ და იმისთვის ვიბრძოლებ, როგორმე მათთან კონტრაქტი გავაუქმო.

**— სხვა ქვეყნის გუნდებიდან დაინტერესება თუ არის?**

— არსაიდან არაფერი ისმის. ყველაზე რეალური ის ვარიანტია, ჩავიდე ტრაბზონში და სადმე, ისევ თურქულ კლუბში გამანათხოვრონ. არის წინადადებები, მაგრამ ისეთი გუნდებიდან, სერიოზულად რომ არავინ უყურებს. რაც შეეხება კარგ კლუბებს, ამათ უკვე საკმაოდ ჰყავთ უცხოელი ფეხბურთელები და ერიდებიან უცხოელთა რაოდენობის კიდევ უფრო გაზრდას. დარწმუნებული ვარ, როგორც კი შეიტყობენ თურქეთში ჩემი დაბრუნების ამბავს, მაშინვე დაუკავშირდებიან „ტრაბზონს". თუმცა, ისეთი გუნდებიდან, სადაც იგივე შეიძლება განმეორდეს — დამიგვიანონ, ან კიდევ საერთოდ არ მომცენ ხელფასი, ამიტომ ვთქვი, არასერიოზულებად ითვლებიანმეთქი. ჯერჯერობით მაინც თავს ვიკავებ. იქნებ სხვა ქვეყნებიდან დამიკავშირდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში „ტრაბზონისთვის" ფული ექნებათ გადასახდელი. ყველაზე კარგი ის იქნებოდა, ნაკრებში მეთამაშა. ვერც ეს გამომივიდა და, ალბათ, იმ გუნდებმაც თავი შეიკავეს ჩემს შეძენაზე, ვინც აქამდე მელაპარაკებოდა.

**— სიტყვამ მოიტანა, ნაკრებში რატომ არ მიგიწვიეს?**

— ვერ გეტყვი, ყიფიანმა უკეთ იცის. ჩემი აზრით, ისეთი უფორმო ნამდვილად არ ვიყავი, მოსამზადებლად მაინც რომ არ გამოვეძახე. ძირითად შემადგენლობაზე არაფერს ვამბობ, მაგრამ იმის ღირსი მგონი ვარ, 20 ფეხბურთელთან ერთად მეც ვყოფილიყავი მიწვეული ნაკრებში. დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, იტალიელებთან ორივე მატჩი რომ გამოვტოვე.

**— იქნებ სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო არ დაგიძახეს?**

— დაინტერესებულიყვნენ მაინც, „ტრაბზონში" ჯამარაულს რატომ არ ათამაშებდნენ. თუ ჰგონიათ, ფორმაში არ ვარ და ილმაზიც ამიტომ მიწუნებს, ეს არაა მართალი. ყოველთვის დიდი მონდომებით ვვარჯიშობდი და ახლაც იგივეს ვაკეთებ. დღე და ღამე გასწორებული მაქვს, უბურთოდ ცხოვრება ჩემთვის წარმოუდგენელია, მაგრამ რა ვქნა, „ტრაბზონსფორის" მწვრთნელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ჯამარაულს ცოცხალი თავით არ ვათამაშებო. სეზონის დასაწყისში ის სამი ფეხბურთელი იყიდეს, რომლებიც ილმაზს უნდოდა, მე კი არა და არ მწყალობს ეს კაცი. მესმის, ფორმაში არ ვყოფილიყავი, ამიტომ დავეტოვებინეთ ნაკრების მიღმა. ვერც ილმაზი იტყვის, ჯამარაული საკადრისად არ გამოიყურება და ამიტომაც არ ვათამაშებო. მე ჩემს თავთან მართალი ვარ, რადგან ვგრძნობდი, ნორმალურ ფორმაში ვიყავი. იგივეს ვგრძნობ ახლაც. უფლებაც არ მაქვს, ოდნავ მაინც მოვდუნდე, მით უმეტეს მაშინ, როცა ასეთ მდგომარეობაში ვარ.

**— არც სამოლდოვოდ აპირებენ ნაკრებში შენს მიწვევას?**

— წინასწარ არაფრის თქმა შემიძლია. თუ საჭიროდ ჩათვლიან, გამომიძახებენ. მეც ისევე ალალად ვივარჯიშებ და ვითამაშებ, როგორც აქამდე. თუ არ გამომიძახებენ, რა ვქნა — ხელმეორედ მომიწევს იმის დამტკიცება, რომ ნაკრების ღირსი ვარ.

**— მოკლედ, ყველაზე სავარაუდო ისევ თურქეთში დაბრუნებაა.**

— ყოველ შემთხვევაში, ამაზე უკეთესი ვარიანტი ჯერ არ მიჩანს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომელიმე სხვა, ევროპული გუნდიც დაინტერესდეს ჩემით. ცოტა ხანში ყველაფერს გაიგებთ — „ტრაბზონში" გავაგრძელებ თამაშს თუ სხვაგან.

**კობა ინასარიძე**

# მესამე და სამართალი

| | |
|---|---|
| თბილისი | |
| „შევარდენი" | |
| 16 სექტემბერი | |

**მორკინალი 2:1 კოლხეთი**

**მორკინალი:** გვარამაძე, ამბიძე, კაპანაძე, ი. ვაშაკიძე, ასპინძელაშვილი (მაისურაძე 74), აბაზაძე, პეტრიაშვილი (ქოიავა 75), ცომაია, კ. გოგოლაძე, ჭუმბურიძე, ვ. გოჩაშვილი (დვალიშვილი 82)

**კოლხეთი:** მ. გვასალია, ქუტიძე (ქუნთელია 46), კაკაჩია, გიორგაძე, ამაშუკელი, ლალანიძე, ფანჩულიძე, ტორჩინავა, ე. გვასალია, ნივნივაძე, მ. ქობულაძე

1:0 გოჩაშვილი (27), 2:0 გოგოლაძე (36), 2:1 ე. გვასალია (70)

**გაფრთხილება:** ტორჩინავა

**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი)

**კობა ინასარიძე**

არა, „მორკინალს" დებიუტანტისა ნამდვილად არაფერი სცხია. ის კი არა, ჩვენს ჩემპიონატში ნაკლებად ჩახედულმა ადამიანმა ეგებ ისიც თქვას, აქამდე „მორკინალი" ევროთასებზე რატომ არ მონაწილეობდაო. პასუხი კი მარტივია — თბილისელებმა წელს პირველად დააჭაშნიკეს პირველი ჯგუფი და საევროპო საშუალება არ ჰქონდათ. არადა, ასე რომ არ ყოფილიყო, ღმერთმა უწყის, იქნებ „მარგვეთზე" უკეთ მაინც ეთამაშა საერთაშორისო სარბიელზე, აღარაფერს ვამბობ სხვა, პირველსავე წრეში გამოვარდნილ გუნდებზე. ვისაც მორკინალთა თამაში ერთხელ მაინც უნახავს, ალბათ, დამეთანხმება. როგორია — დებიუტანტმა საწყის 5 მატჩში 6 ქულა მოაგროვოს, ისე, რომ ერთხელ დამარცხდეს და ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ „ბათუმთან" და „ტორპედოსთან" სტუმრად ქულებს გამოჰკრას ხელი. ამ მონაგარს გუშინწინდელი სამიც დაემატა, კიდევ ერთ ფავორიტთან — „კოლხეთთან" მოპოვებული. მოკლედ, ის დროა, მეტოქეებმა ჯეროვნად შეაფასონ გუგუშვილის ბიჭები და მათთან სათამაშოდ ისე განეწყონ, როგორც ტოლი ტოლთან. თუ არა და, მათაც იგივე ელით, რაც „კოლხეთს".

მთელი პირველი ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. თავდასხმაში გაწესებული პეტრიაშვილი და თურქმენეთიდან დაბრუნებული კახა გოგოლაძე ისე გონივრულად ირჯებოდნენ, სტუმართა მცველებს საზრუნავი არ მოჰკლებიათ. პირველად მე-10 წუთზე შეეძლოთ მორკინალებს დაწინაურება, მაგრამ აბაზაძის მარცხნიდან ჩაწოდებული, რომელიც გოგოლაძემ ვარდნაში დარტყმით დაასრულა, გვასალიას ნადავლი გახდა. არ გასულიყო ხუთი წუთიც, რომ ისევ გოგოლაძეს მიეცა გოლის გატანის რეალური შანსი, თუმცა ქუტიძის დაუდევრობით ვერც ამჯერად იხეირა, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბოლოს მასვე ჩააბარა ბურთი.

გასაკვირი გახლდათ კოლხთა ინერტულობა. ისედაც დაბნეულები ამ ორი მომენტის შემდეგ ისე ქაოსურად ათამაშდნენ, გვარამაძის კარისკენ ხეირიანად არც კი შეუტევიათ. თბილისელებმა კი პირიქით, შუა ხაზში მოპოვებული უპირატესობა შესვენებამდე ორ გოლად აქციეს. ჯერ იყო და ჭუმბურიძემ იბრძოლა, გიორგაძეს დაატოვებინა ბურთი, კაპანაძეს გადააწოდა, ამის ჩაწოდებულს კი გოჩაშვილმა მისცა სწორი მიმართულება, ხოლო შემდეგ პეტრიაშვილ-გოჩაშვილის ნაჯაფარმა გამოიღო შედეგი: — ამათ ბურთი გოგოლაძეს მიუგორეს, რომელსაც აღარ გასჭირვებია, გვასალიასთვის მესამე ცდიდან მაინც გაეტანა.

ორბურთიანი სხვაობა უკვე საკმაო იყო, სტუმრები რომ გამოფხიზლებულიყვნენ, მაგრამ ისევ პირიქით მოხდა. ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილ ცხრა წუთში მასპინძლებს ოდნავი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, საქმეს ალბათ შესვენებამდე მოითავებდნენ.

მეორე ტაიმში სოსო ფილიამ საყრდენი ქუტიძე ქუნთელიათი შეცვალა. სტუმრები გონივრულად ათამაშდნენ, თუმცა იგრძნობოდა, რომ ჩქარობდნენ. გასაგებიც იყო — ორი ბურთის გაქვითვას დრო უნდოდა, თანაც საკმაო, რადგანაც მეტოქე არანაკლებ ყოჩაღობდა. მასპინძელთა ყოველი კონტრშეტევა მეტად საშიში გახლდათ, იმდენად, რომ „კოლხეთის" მეკარეს გადმოურია კიდევ რამდენიმე გოლის, ამათგან ყველაზე რეალური ისევ და ისევ გოგოლაძისა და პირისპირ გასული პეტრიაშვილისა იყო. პირველს რაღაც სასწაულებრივად აუღო თაური გვასალიამ, ხოლო პეტროს დარტყმული ხარიხას გადასცდა.

ის იყო, ტაიმის დასაწყისში დათმობილი თამაშის სადავეები „მორკინალს" უნდა დაებრუნებინა, რომ ელდარ გვასალია ბურთიანად შეიჭრა თბილისელთა საჯარიმოში და ცხრიანში დაუმიზნა — 1:1

ფოთელთა მონდომებამ შედეგი გამოიღო. მატჩის გადარჩენის იმედიც მიეცათ, მაგრამ „მორკინალმა" ისევ იძალა, ბურთის დაჭერა გადაწყვიტა და თამაში დააწყნარა. უკვე საეჭვო აღარ იყო, რომ თბილისელები გაიმარჯვებდნენ. ასეც მოხდა. მანამდე კი გოგოლაძემ და გვასალიამ კიდევ ერთხელ მიიპყრეს ყურადღება. კარამდე სულ ორიოდე მეტრში ქუნთელიამ რატომღაც გაატარა ბურთი, მაგრამ მეკარესთან ცხვირწინ მდგომი გოგოლაძისთვის ეს იმდენად მოულოდნელი საჩუქარი გამოდგა, ბურთი ველარ გააჩერა და ისევ გვასალიამ ივარგა.

სულ ეს იყო, ბოლოს კი ყველაზე მთავარი: ორივე გუნდმა ღირსეულად ითამაშა. მართალია, ერთნი ცდებოდნენ, მეორენი კი ამით ვერ სარგებლობდნენ, მაგრამ „შევარდენზე" ისეთი ლაზათიანი და ეშხიანი პაექრობა გაიმართა, მაყურებელი ნასიამოვნები ტოვებდა იქაურობას. ამაზე მნიშვნელოვანი კი, აბა, რა უნდა ყოფილიყო...



გოგოლაძემ საქართველოში დაბრუნება გოლის გატანით აღნიშნა

# 6 ტური

### მოვლენა

**ლიდერის დანაკარგი**

თსუ-მ ჩემპიონატი ბრწყინვალედ დაიწყო: პირველ ხუთ მატჩში არც ერთი ქულა დაუკარგავს. მართალია, მას დაკარგული ქულებით არც თამაშნაკლული „დინამო" ჩამორჩებოდა, მაგრამ ჩემპიონთან ტოლობაც ხომ საქმეა. თსუ პირველობისთვის ბრძოლას წელს მშვიდად, მობილიზებულად შეუდგა და შედეგიც შესაბამისი მიიღო. ბოლო ტურის მატჩზეც სტუდენტები მოხერხებულად მიეახლნენ ჯერ წყალტუბოს, „სამგურალი" — „ბათუმის" დასაზვერად და მოსასვენებლად, მერე კი ლანჩხუთს „გურიასთან" საპაექროდ. მაგრამ ლანჩხუთში ხაფანგი დახვდათ: „ტორპედოსა" და „ბათუმის" გამაწარებელმა თსუ-საც ქულები აართვა და შინაურ მატჩებში კერკეტი გუნდის სახელი დაიგდო.

### სკანდალი

**დილა 1:1 ტორპედო**

ამ მატჩიდან შეიძლებოდა უფრო დიდი სკანდალი გამოსულიყო. მას ვერც მსაჯისგან სადავეებმიშვებული „გურია" — თსუ გაუწევდა კონკურენციას, რომ არა ერთი „მაგრამ". ბერიძე-ლორთქიფანიძის მიერ გატარებული თამაშგარე და დანიშნული პენალტი საკმარისი იყო, რომ „ტორპედოს" მომგებიანი ანგარიშის გაყაიმება მსაჯებისთვის გადაებრალებინა, თუმცა ასე არ მოხდა. საბოლოოდ ისე გამოჩნდა, რომ მიზეზი „დილას" მესვეურთა უპირობა იყო, რაკი ისინი სტუმრებს თამაშის დათმობას დაპირებიან და მერე პირი უშლიათ. საპასუხოდ „დილას" მწვრთნელ კიკნაძეს ქუთაისელთაგან „ყოჩაღ, ფერო" და ამდაგვარების მოსმენა მოუწია, თუმცა, არც მას უგრძვნია თავი უხერხულად საპასუხო რეპლიკების გამოთქმისას.

### მოულოდნელობა

**მარგვეთი 0:4 მერანი**

ტურის უმთავრესი, თუმცა, არცთუ მოულოდნელი მოვლენა, ფრეთა სიმრავლე და მინიმალური სხვაობით მოგებათა მეტობა გახდა. შვიდიდან ოთხ მატჩში ფრე დაფიქსირდა (ერთი 0:0 და სამი 1:1), ორში 2:1 და მხოლოდ ერთში დიდი ანგარიშით, თანაც ოთხბურთიანი სხვაობით მოგება.

„მარგვეთმა" ჩემპიონატი მარცხიანად კი დაიწყო, მაგრამ მერე ნელ-ნელა უმატა და ამიტომაც მისგან შინაურ მარცხს „მერანთან" ბევრი არც ელოდა. თავიდან ასეც იყო, ვიდრე 72-ე წუთი დადგებოდა, მერე კი „მერანმა" ოთხი უპასუხო გოლი გაიტანა 25 წუთში.

### გმირი

**მამუკა თევზაძე**

„სამგურალის" მეკარეს ეს პატივი მეორედ ხვდა. მან ამჯერადაც პენალტი მოიგერია. ოღონდ თუ პირველად თანაგუნდელებს გასვლით მატჩში გამარჯვების სული შთაბერა, ამჯერად „სამგურალმა" მხოლოდ ფრეს მიაღწია. არადა, მესამე წუთზე აღებული პენალტით თევზაძემ სადებიუტო 0:0 შეინარჩუნა, დანარჩენი კი მასზე ნაკლებად იყო დამოკიდებული. მით უმეტეს, უკვე 1:0-ზე მაჭუტაძემ აულებელი დარტყმით გაუტანა.

### ანტიგმირი

**თამაზ ლორთქიფანიძე**

„გურია" — თსუ და „დილა" — „ტორპედო" მხოლოდ ანგარიშით როდი მიემსგავსა ერთმანეთს. ორივე მატჩში მსაჯობა საკადრის დონეზე ვერ იყო. ეს უფრო არბიტრებს ეხებათ და მეტადრე გორის მატჩის განმსჯელ თამაზ ლორთქიფანიძეს, რომელმაც შეხვედრის საბოლოო შედეგზე უშუალო გავლენა იქონია. I ტაიმის ბოლოს მასპინძელთა გოლი ჯერ ჩათვალა, თანმსაჯ ელიკაშვილის მიერ დაფიქსირებული თამაშგარის გამო კი ნაგვიანევად გადათქვა. თუმცა, II ტაიმში მაინც უსამართლოდ მოიქცა, როცა თავადაც „თამაშგარეში" მდგომმა ორ მოიერიშეს თამაშის გაგრძელების და პენალტის მოპოვების საშუალება მისცა.

### ისევ ერთი თამაშით

გუშინწინ ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის წილისყრა მოაწყო. ისევე როგორც წინა ორი შესარჩევი ეტაპის გათამაშებისას, ამ ჯერზეც შემდეგ წრეში გასულ გუნდებს ერთი მატჩი გამოავლენს. თამაშები 19 სექტემბერს გაიმართება. ეროვნული ჩემპიონატის მეორე და მესამე ჯგუფებში მონაწილე გუნდები ასე დაწყვილდნენ:

კოდაკო — ყვარელი
ასკ — ხალიბი 97
ლოკომოტივი 2 — აკადემია
ცხინვალი — ბაია ქასქი ჯიქები
ივერია — თორი
იმერეთი — ოქროს საწმისი
ჯუბა — ეგრისი
მერცხალი — ბათუმი 2
ქინერი — იბერია
სქური — სამეგრელო
ფაზისი — კოლხეთი
საპოვნელა — მეშახტე

თამაშები პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე ჩატარდება. რაც შეეხებათ პირველჯგუფელებს, ისინი თასისთვის ბრძოლაში მეთექვსმეტედფინალიდან ჩაებმებიან, რომლის წილისყრას ფეხბურთის ფედერაცია 20 სექტემბერს ჩაატარებს.

# ნიგერიელებმა და განელებმა დახმარება კოკაიას სთხოვეს

ჩვენს ფეხბურთელებს უცხოეთში წასვლაზე თვალი ისე რომ უჭირავთ, როგორც მიმინოს მწყერზე, ყველამ კარგად იცის. მაგრამ რამდენად აისრულებენ ოცნებას, ეს უკვე მათ კლასსა და მენეჯერებზეა დამოკიდებული. საქართველოში ამ საქმის პიონერად ვინ ჩაითვლება, ვერ გეტყვით, ეს ინსტიტუტი სხვა სახელით, ალბათ, ადრეც არსებობდა, თუმცა, ახლა შედარებით ცივილიზებულ სახეს იძენს. ფიფას მიერ პირველ ქართველ მენეჯერად ოფიციალურად აღიარებულ ილია კოკაიას ევროპაში სწორედ ამჟამად უწევს გზის გაკვალვა, მენეჯერის რეპუტაციას კი მნიშვნელოვნად სწორედ პირველი ნაბიჯები განაპირობებს. საქმიანობის გასაადვილებლად კოკაია საქართველოში თავისი ბიუროს გახსნას აპირებსო — ბრძანა ერთი თვის წინ ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ. ფიფას ქართველმა მენეჯერმა ეს ცნობა დაგვიდასტურა.

— დიახ, ასე გახლავთ, თუმცა, არავითარ შემთხვევაში ის არ იქნება ფეხბურთის ფედერაციის ნაწილი, ანაც მისი პროტექტორატის ქვეშ. მენეჯერთა ინსტიტუტი მთელ მსოფლიოში ფედერაციებისა და კლუბებისგან დამოუკიდებლად არსებობს. თანამშრომლობა კი სხვა საქმეა, ეს ფეხბურთში ჩახედულ ნებისმიერ ადამიანთან შეიძლება.

**— ნათქვამით თქვენზე გავრცელებულ ხმებს აბათილებთ — კოკაია ფედერაციასთან შეკრულიაო. რეალურად მათთან რა ურთიერთობა გაქვთ?**

— ბუნებრივია, რომ გარკვეულწილად ჩემი მენეჯერად კურთხევა ფედერაციაზე იყო დამოკიდებული — მათი წარდგენების გარეშე ფიფა აგენტად არ დამამტკიცებდა. მაგრამ მე ვერ ვხედავ იმ მიზეზს, რის გამოც ჩვენ შორის ალიანსი უნდა არსებობდეს. ამ მხრივ კლუბებთან ალიანსი უფრო უპრიანი იქნებოდა, ფეხბურთელები სწორედ იქ არიან.

**— ამ ცოტა ხნის წინ, როგორც ვიცი, ყველა დინამოელმა მოთამაშემ თქვენთან კონტრაქტი გაწყვიტა. რა იყო ამის მიზეზი?**

— ეს თავად ფეხბურთელების სურვილი არ ყოფილა. უბრალოდ, „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ასეთი ნაბიჯი მათთვის უფრო სასურველი იქნებოდა. მე ამ აზრს არ ვიზიარებ, თუმცა, შესაძლოა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩვენ კვლავ ვითანამშრომლოთ. ამით ქართულ ფეხბურთსა და თავად „დინამოს“ დიდ სამსახურს გავუწევთ. მენეჯერების ინსტიტუტი საქართველოში ახლაღა ინერგება და არ გამოვრიცხავ, რომ ჯერ კიდევ ეჭვის თვალით გვიყურებენ. მაგრამ მჯერა, მალე ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვლება.

**— ალბათ, უნდობლობა იმით არის გამოწვეული, რომ თქვენ ჯერ სერიოზული ტრანსფერი არ განგიხორციელებიათ...**

— აქამდე ორი მოთამაშის პორტუგალიაში გადასვლას შევუწყვე ხელი — ზირაქიშვილისა და ქოქოშვილის. ეს უკანასკნელი პორტუგალიაში დარჩა, ზირაქიშვილისა და გოგოლაძის ტრანსფერზე კი ახლა ვმუშაობ. მიმაჩნია, რომ მოთამაშეები მხოლოდ მაღალი რანგის გუნდებში უნდა გავუშვათ, სუსტ კლუბებში მათი გადასვლის აზრს ვერ ვხედავ. ამის გამო სერიოზული ტრანსფერის განხორციელება მეტად რთული საქმეა.

**— მაშინ რატომ არ ისურვა ქოქოშვილმა თქვენთან ურთიერთობის გაგრძელება, ანაც ზირაქიშვილის „კიოლნში“ გადასვლა რატომ ჩაიშალა? ეს კითხვები თქვენს მიმართ მხოლოდ მე არ გამჩენია...**

— „კიოლნში“ ზაზას ელოდებოდნენ იმ დროს, როდესაც გუნდის დაკომპლექტება მიმდინარეობდა, მაგრამ ზირაქიშვილმა დაიგვიანა, „კიოლნი“ კი შეკრებაზე გაემგზავრა. ზირაქიშვილი გერმანიაში ჯერაც უცნობი მოთამაშეა და გასასინჯად ჩასულს ერთი კვირა არავინ დაელოდებოდა. დამეთანხმებით, ნებისმიერ საკითხში სიზუსტესა და პუნქტუალურობას უნდა ვიცავდეთ. ახლა ზაზას აყვანა მეორე ბუნდესლიგის „უნტერჰახინგს“ სურს, მაგრამ მათ ფინანსური საკითხი აქვთ მოსაგვარებელი, რათა ეს ტრანსფერი განახორციელონ. საერთოდ, ფინანსური მხარე თუ მოუწესრიგებელია, ანაც მოთამაშისთვის კაბალურია, ეს მენეჯერის ბრალია. როდესაც ქოქოშვილით „ბელენენსეში“ დაინტერესდა, მას ვურჩიე კონტრაქტის გაფორმება არ ეჩქარა. გოჩამ მთხოვა, კონტრაქტს ხელს მოვაწერ და მერე იქნებ რამენაირად დამეხმაროთო. ასე რომ, ქოქოშვილმა თავისი არჩევანი გააკეთა, თუმცა, მასთან თანამშრომლობას მაინც არ გამოვრიცხავ. მით უფრო, რომ მას ეს თავად სურს. გოჩას კონტრაქტს არ ვიცნობ და მიჭირს თქმა, როგორ შემიძლია დავეხმარო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ერთმანეთის მიმართ წყენა არ გვქონია.

**— როგორც გავიგე, ზირაქიშვილს ჰაიფის „მაკაბისა“ და კიევის „დინამოში“ გადასვლის შანსიც გაუჩნდა...**

— მართალს ბრძანებთ, მაგრამ მაკაბისნაირი სუსტი გუნდისთვის ის არ მეტება, კიევის „დინამო“ კი გაცილებით მაღალი დონისაა. ორი დღის წინ კიეველთა პრეზიდენტს სურკისს ველაპარაკე. ისინი ახლა ჰოლანდიაში „ეინდჰოვენთან“ ჩემპიონთა ლიგის თამაშს ატარებდნენ, კიევში 18-ში დაბრუნდებიან და სწორედ მას შემდეგ ჩავალთ მე და ზაზა მოსალაპარაკებლად. სიმართლე რომ ვთქვა, სწორედ ეს ვარიანტი უფრო მიზიდავს — ლობანოვსკის მეთვალყურეობით ნებისმიერი მოთამაშე კლასს აიმაღლებს. არც ზაზას აწყენდა ერთი წლით კიევში თამაში.

**— ერთი წლით? ლობანოვსკი მოთამაშეებთან ხანგრძლივად მუშაობს და ასეთ გამონაკლისს დაუშვებს? საერთოდ არის იგი ამის თაობაზე ინფორმირებული?**

— მე ჯერ მხოლოდ პრეზიდენტს ვესაუბრე, კიევში კი ლობანოვსკისთანაც ვაპირებ შეხვედრას. ვიცი მისი ხასიათი, მოთხოვნები და მგონია, ზირაქიშვილისნაირი პოტენციის მოთამაშე მას გამოადგება. სურკისს ერთწლიან კონტრაქტზეც ვესაუბრე, ვუთხარი, ზაზას რომ ბუნდესლიგაში სურს თამაში. ახლა ყველაფერი მოლაპარაკებებზეა დამოკიდებული და იმედი მაქვს, რომ უპრობლემოდ შევთანხმდებით.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საფეხბურთო წრეებში მსმენია, კოკაიას ჯერ ისეთი კავშირები არ გააჩნია, ქართველი მოთამაშეები ხეირიან გუნდებში მოაწყოსო.**

— კარგით, მაგრამ ახლა მე თავად გკითხავთ: გეგულებათ საქართველოში ისეთი მოთამაშე, ბუნდესლიგაში რომ ითამაშოს?

**— ამის იმედი რომ არ გქონდეთ, მენეჯერობას ხომ არ დაიწყებდით?**

— ახლახანს გერმანიაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ფოგთსის ნათქვამმა, ჩვენმა გუნდებმა საშუალო დონის უცხოელი ფეხბურთელები არ უნდა მოიწვიონ, ეს ახალგაზრდა გერმანელი ტალანტების ზრდას ხელს შეუშლისო. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ასეთ პირობებში უნდა ჩავიყვანო უცნობი, ფიზიკურად სუსტი ქართველი მოთამაშეები და ძლიერ გუნდებში მოვაწყო. ეს მეტად რთულია, მით უფრო რომ მთელ ევროპას მოეფინენ უნიჭიერესი აფრიკელები. სხვათა შორის, ამ დღეებში 20 ნიგერიელი მოთამაშის წერილი მივიღე, იქნებ ტრანსფერი გაგვიხერხოთო. მათგან 6 ეროვნული ნაკრების წევრია. ამასვე მთხოვს განის ნაკრების რამდენიმე მოთამაშე.

**— თქვენ რატომ ან როგორ მოგმართეს?**

— ასეთი წერილები მარტო მე კი არა, ფიფას ყველა აგენტს მისდის. აქ ლაპარაკი არ არის სატრანსფერო თანხებზე, ისინი ნაკლებად პრეტენზიულნი არიან. ჩვენი მოთამაშეები სამჯერ და ოთხჯერ მეტს ითხოვენ. გარდა ამისა, მოლდოვის ნაკრების თავდამსხმელის, გაზაევისგან რატომღაც დაწუნებული სუხარევის ტრანსფერზეც ვმუშაობ. ახლა ევროპაში სატრანსფერო სეზონი შეწყვეტილია, მაგრამ როცა ამის დრო დადგება, გამოჩნდება — ვის ვინ სჭირდება და მერე ვნახოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# სასამართლო ცამეტი წლის შემდეგ

„ნოტინგემ ფორესტის“ ვეტერანები ბელგიური „ანდერლეხტის“ წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილს აპირებენ. საქმე ის გახლავთ, რომ ბრიუსელის გუნდს, 1984 წელს, უეფას თასის ნახევარფინალური შეხვედრის წინ მსაჯი მოუქრთამავს.

საინტერესოა, რომ ფულის მიცემა საკუთრივ ანდერლეხტელებმა აღიარეს. მათ 18 ათასი გირვანქა გადაუხდიათ არბიტრისთვის, თუმცა ახლა ამბობენ, ქრთამი არაფერ შუაშია, ხსენებული თანხა მას მხოლოდდამხოლოდ ვასესხეთო. ცამეტი წლის შემდეგ განრისხებული ინგლისელები მორალური კომპენსაციისთვის 1,5 მილიონ გირვანქას ითხოვენ, რაც დოლარებში დაახლოებით 2,5 მილიონის ტოლფასია.

ზღაპარი სესხის შესახებ ნოტინგემელებმა, ბუნებრივია, არ დაიჯერეს. მათ მწარედ ახსოვთ, შინ მოგებული 2:0 სტუმრად 0:3-ად როგორ შეუბრუნდათ. იმ საპასუხო შეხვედრაში მსაჯმა ინგლისელებს გოლი არ ჩაუთვალა, შემდეგ „ანდერლეხტი“ ერთობ საეჭვო პენალტით დააჯილდოვა, ბოლოს კი ბელგიელთავე სასარგებლოდ ისეთი გოლი ჩათვალა, ნეიტრალურ დამკვირვებელთა აზრით, ჩასათვლელი რომ არ იყო.

მაშინ „ნოტინგემ ფორესტში“ ინგლისის ეროვნული გუნდის ყოფილი მოთამაშეები გერი ბირტლესი და სტივ ჰოჯი გამოდიოდნენ. ბრიუსელის ავადმოსაგონარ შეხვედრაში მათაც მიიღეს მონაწილეობა. დღეს ისინი თანაგუნდელთა სარჩელს უერთდებიან.

„ფორესტს“ „ანდერლეხტი“ რომ დაემარცხებინა, ფინალში ლონდონურ „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ შეხვდებოდა, მაგრამ გამარჯვება ბელგიელებმა მოიპოვეს — როგორც ირკვევა, ქრთამის წყალობით. საბოლოოდ, 1984-ში უეფას თასი „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ დარჩა.

როგორც „ნოტინგემ ფორესტის“ აღმასრულებელმა შეფმა ფილ სოიერმა განაცხადა: ვეტერანებს შეუძლიათ კომპენსაცია ცალ-ცალკე მოითხოვონ. ზემოხსენებულმა გერი ბირტლესმა, რომელმაც ნოტინგემის გუნდთან ერთად ორჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი, თქვა:

— ფეხბურთელები თასის მოსაპოვებლად მზად იყვნენ, მაგრამ კუთვნილი გამარჯვება ცხვირწინ აგვაცალეს. თუ „ნოტინგემ ფორესტი“ სასამართლო პროცესს მოიგებს და კომპენსაციას მიიღებს, უდავოა, თანხა მოთამაშეებსაც უნდა გაგვინაწილონ.

„ნოტინგემს“, მარტიდან მოყოლებული, ბელგიაში საგანგებოდ დაქირავებული ექსპერტთა ჯგუფი ჰყავს მივლინებული. სარჩელის აღსაძრავად საჭირო დოკუმენტებს სწორედ ისინი ამზადებენ.

და ბოლოს, ვინ იყო ყუმბარასავით გამსკდარი საქმის მთავარი მონაწილე, ვინ სჯიდა 1984 წელს ბრიუსელში გამართულ უეფას თასის ნახევარფინალს?

ესპანელ არბიტრს, რომელმაც 18 ათასი გირვანქა „ისესხა“, გურუჩეტა მურო ერქვა და იგი 1987 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

**ბაბუნა ძიძია**

## ესპანეთი

III ტურის ბოლო მატჩი

**მალიორკა 6:2 სპორტინგი**

1:0 მენია (19), 1:1 კოსოლაპოვი (13), 2:1 მოია (45), 3:1 ამატო (48), 3:2 კუზარსკი (74), 4:2 მონჩუ (80), 5:2 ვილიაროია (82 ს.კ.), 6:2 მონჩუ (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| მალიორკა | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| სელტა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ტენერიფე | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| რასინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ოვიედო | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| ესპანიოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ატლეტიკო | 3 | 1 | 1 | 1 | 6:2 | 4 |
| კომპოსტელა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| სარაგოსა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ბეტისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ბილბაო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| სალამანკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| სოსიედადი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| დეპორტივო | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| მერიდა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ვალენსია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |
| სპორტინგი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |
| ვალიადოლიდი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |

# ვალდანო ისე დაიბნა, რომ...

„ვალენსიამ“ საქვეყნოდ განაცხადა, რომ მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლა ხორხე ვალდანო. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინელი გახდა პირველი ხელმძღვანელი, რომელიც ამ სეზონში პოსტიდან დაითხოვეს. „ვალენსიას“ ხელმძღვანელთათვის საამისოდ სამი კვირა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

სამსახურის დაკარგვის ამბავი ვალდანომ ორშაბათ საღამოს შეიტყო, წინა დღეს, კვირას კი მან საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა მოედანზე ერთდროულად დაშვებულზე მეტი უცხოელი შეიყვანა. მოგეხსენებათ, ესპანეთში წესად ერთდროულად არაუმეტეს ოთხი უცხოელის (იგულისხმებიან არაევროკავშირელები) თამაში აქვთ. სწორედ ეს არ გაახსენდა ვალენსიელთა თავკაცს, როდესაც ფეხბურთელი შეცვალა და ამ შეცვლის შედეგად მის გუნდში ხუთი საზღვარგარეთელი დაგროვდა. მსაჯმა ეს შენიშნა. მან მწვრთნელს ერთ-ერთის სათადარიგოთა სკამზე დასმა მოსთხოვა, ანუ შეხვედრა ათკაციანი გუნდით დასრულებინა.

ვალდანოს შეცდომამ „ვალენსიას“ ორი მილიონი პესეტა (13 514 დოლარი) შეუქნა გადასახდელი, წუხელ კი, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სპეციალური კომიტეტი, „სელტასთან“ 1:2 წაგების 0:3-ად გადაკეთებას აპირებდა.

მადრიდის „რეალის“ ყოფილი მწვრთნელის დათხოვნის მიზეზი, ბუნებრივია, ეს შეცდომაცაა, მაგრამ საქმე მარტო ეგ არ არის — „ვალენსიას“ ბოსები გუნდის უსუსური თამაშით უფრო არიან შეშფოთებულნი: ახალი სეზონის საწყის სამ თამაშში მათმა გუნდმა სამი მარცხი იწვნია, მეტოქეთა კარი ორადორჯერ დალაშქრა და ბოლოდან მესამე ადგილზეა.

არადა, ვალდანომ სეზონი დიდი დაპირებებით დაიწყო — ქომაგებს 16 წლის წინანდელი საშინაო და საერთაშორისო წარმატებების გამეორება აღუთქვა და კლუბის თავკაცებს ცხრა ახალი ფეხბურთელი აყიდინა.

# შეფებს გადასახდელი ჰქონიათ

რუსულ ფეხბურთს ახალი მღელვარება დაატყდა თავს. აქ საუბარი აღარაა იმაზე რომ გასულ ოთხშაბათს, სოფიაში, ბულგარეთის ეროვნულ გუნდთან 0:1 წაგებით ამ ვეებერთელა ქვეყნის ნაკრებმა საგაისო მსოფლიოს ჩემპიონატზე ავტომატურად გასვლის უფლება დაკარგა და ახლა ფლეი-ოფის იმედად უნდა იყოს. აქ საუბარია ფულზე, დიდ ფულზე, დაახლოებით 300 ათას დოლარზე.

ვერ გეტყვით რა მოხდებოდა, რუსეთის გუნდს სპორტული წარმატებისთვის რომ მიეღწია, მაგრამ წარუმატებლობამ იქაურ პრესას მოთმინების ფიალა აუვსო და სათქმელი ათქმევინა. საქმე ის გახლავთ, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის, როგორც ყველა, რუსეთის მხარეც იღებს გარკვეულ პრემიალურ თანხებს. ეს თანხები წესით უნდა იბეგრებოდეს, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტის, ბორის ელცინის საგანგებო განკარგულებით, ნაკრების წევრები ბეგარისგან თავისუფალნი არიან. სწორედ ამით უსარგებლიათ ფეხბურთის ჩინოვნიკებს, საკუთარი თავი ბეგარისგან განთავისუფლებულ ფეხბურთელთა რანგში გაუყვანიათ და 300 ათასი დოლარი სახელმწიფოსთვის არ გადაუხდიათ. გამოვიდა, რომ თუნდაც ყველაფრის წაგებით, მათ პირადი ცხოვრების გვარიანად უზრუნველყოფა შეეძლოთ.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის აღმასრულებელი დირექტორი ვლადიმირ ივანოვი იძულებული გახდა განეცხადებინა:

— მოსკოვის საგადასახადო ინსპექციის გადაწყვეტილებას უნდა დავემორჩილოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, თანამდებობები დავკარგოთ. იძულებული ვართ, ბეგარა გადავიხადოთ.

## ინგლისი

სამშაბათს კოკა-კოლას, იგივე ლიგის თასის მეორე წრის პირველი თამაშები გაიმართა. წინა წრეში „მანჩესტერ სიტის“ მძლეველმა „ბლეკბულმა“ ამჯერად შინ პრემიერლიგელი „ქოვენთრი“ დაამარცხა 1:0, თუმცა ეყოფა თუ არა ეს ანგარიში, საპასუხო მატჩის მერე გამოჩნდება. ასეთივე ანგარიშით და ასევე სტუმრად დამარცხდა კიდევ ორი პრემიერლიგელი: „ვესტ ჰემმა“ „ჰადერსფილდთან“ წააგო, „კრისტალ პალასმა“ კი — „ჰალთან“. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ბარნლი — სტოკ სიტი 0:4, ჩესტერფილდი — ბარნსლი 1:2, ფულემი — ვულვერჰემპტონი 0:1, იფსვიჩ თაუნი — თორქვი 1:1, ლეიტონ ორიენტი — ბოლტონი 1:3, ლუთონი — ვესტ ბრომვიჩი 1:1, მიდლსბრო — ბარნეტი 1:0, ნოთს ქაუნთი — ტრანმერი 0:2, ოქსფორდ იუნაიტედი — იორკი 4:1, რედინგი — პიტერბრო 0:0, სქანთორპი — ევერტონი 0:1, საუთენდი — დერბი ქაუნთი 0:1, სანდერლენდი — ბერი 2:1, უოტფორდი — შეფილდ იუნაიტედი 1:1, უიმბლდონი — მილუოლი 5:1.

სამშაბათსვე გაიმართა პირველი დივიზიონის ერთი შეხვედრა: „ქრიუმ“ შინ 0:1 წააგო „პორტ ველთან“.



# ქრისტე ღმერთი კი არა ვარ, ბასლერი ვარ!

გერმანიაში პრეტენზია-ამბიციათა მორიგი ქარბორბალა დატრიალდა. ამ ჯერზე მისი წამომწყები გახლავთ მარიო ბასლერი, რომელმაც განაცხადა, რომ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ბერტი ფოგთსი მას უსამართლოდ ეპყრობა.

— მისთვის სულერთია, როგორ ვითამაშებ, ჩემით მაინც უკმაყოფილოა, ყოველთვის მეტს ელოდება, მაგრამ მე მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი ვარ — განაცხადა ბასლერმა.

28 წლის ბაიერნელი მართალაც ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ისაც ფაქტია, რომ ბუნდესმწვრთნელს იგი რამდენჯერმე ჰყავს გაკრიტიკებული. ყველაფერ სიკეთესთან ერთად, ბასლერი თავნება და ახირებულ კაცადაა ცნობილი.

# პელე კანონშემოქმედია, აველანჟი — პირიქით

ბრაზილიის სპორტის მინისტრმა პელემ ქვეყნის კონგრესს დასამტკიცებლად ეროვნული ფეხბურთის განწმენდის თავისი კანონპროექტი წარუდგინა.

— ვიცი, ფეხბურთში ბევრი ინტერესია გადახლართული, მაგრამ პატიოსანი კაცი მის განწმენდას რად უნდა შეეწინააღმდეგოს, არ მესმის — განუცხადა მინისტრმა ჟურნალისტებს და დასძინა, რომ იგი არ მოისვენებს მანამ, სანამ მიზანს არ მიაღწევს.

აღსანიშნავია, რომ ასეთივე პროექტი ბრაზილიის კონგრესში 1994 წელს ჩაფლავდა. პელე ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციის გავლენის შესუსტებას გეგმავს და ცდილობს, ძალაუფლება კერძო ფირმების ხელში გადაიტანოს. ამის კატეგორიული წინააღმდეგია ფიფას პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი, რომელიც იმავდროულად ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიკარდო ტეშეირას სიმამრია. აველანჟის თქმით, პელეს იდეები ფიფას წესებს ეწინააღმდეგება და თუ მისმა იდეებმა გაიმარჯვა, არაა გამორიცხული, რომ მათი ქვეყანა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან გარიცხონ.

ფეხბურთის მეფედ წოდებული პელეს გეგმის თანახმად, ბრაზილიურმა კლუბებმა ფედერაციისგან დამოუკიდებლად, თავიანთ შექმნილ ლიგებში, უნდა ითამაშონ.

# სარბიელი


## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. VII ტური

19 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლსრუე — კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| მიუნხენი — დუისბურგი | 1,6 | 3,0 | 4,2 |

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოხუმი — ვოლფსბურგი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| შალკე — ჰამბურგი | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| კიოლნი — ბაიერნი | 4,0 | 2,8 | 1,7 |
| არმინია — ლევერკუზენი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ვერდერი — დორტმუნდი | 2,7 | 3,0 | 2,0 |
| ჰანზა — ჰერტა | 1,5 | 3,1 | 4,7 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტუტგარტი — მიონხენგლადბახი | 1,25 | 3,6 | 7,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. VII ტური

19 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აინტრახტი — ლაიპციგი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ზანქტ. პაული — ვატენშაიდი | 1,4 | 3,1 | 5,6 |

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ცვიკაუ — ფორტუნა | 2,0 | 2,7 | 3,0 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიურტი — კიკერსი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| უნტერჰახინგი — კოტბუსი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| მეპენი — ნიურნბერგი | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| ურდინგენი — ფრაიბურგი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| მაინცი — დიუსელდორფი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| გიუტერსლოო — კარლ ცაისი | 1,6 | 3,1 | 4,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — დერბი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ბოლტონი — მანჩესტერი | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| ევერტონი — ბარნსლი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ვესტ ჰემი — ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ლიდსი — ლესტერი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| საუთჰემპტონი — ლივერპული | 3,0 | 2,7 | 2,0 |
| ტოტენჰემი — ბლექბერნი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| უიმბლდონი — კრისტალ პალასი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| შეფილდი — ქოვენთრი | 1,4 | 3,1 | 5,6 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩელსი — არსენალი | 1,9 | 2,9 | 3,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VIII ტური

22 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლივერპული — ასტონ ვილა | 1,4 | 3,1 | 5,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. VIII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩარლტონი — ბრედფორდი | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| ქრიუ — ქუინზ პარკი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| იფსვიჩი — სტოკი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| სიტი — ნორვიჩი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| მიდლსბრო — ბირმინგემი | 1,4 | 3,3 | 5,0 |
| ნოტინგემი — პორტსმუთი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ოქსფორდი — შეფილდი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| პორტ ვეილი — ბერი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სტოკპორტი — ჰადერსფილდი | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| სანდერლენდი — ვულვერჰემპტონი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| ტრანმერი — რედინგი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ვესტ ბრომი — სვინდონი | 1,5 | 3,2 | 4,4 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. VIII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — მეცი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| გინგამი — ნანტი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| სტრასბური — ბორდო | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| მარსელი — შატორუ | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| მონპელიე — მონაკო | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| კანი — რენი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ლე ავრი — პსჟ | 3,8 | 3,2 | 1,6 |
| ლანსი — ტულუზი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ოსერი — ლიონი | 1,7 | 3,0 | 3,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. III ტური

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — სამპდორია | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| ბარი — ბოლონია | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ემპოლი — ლაციო | 2,9 | 3,0 | 1,9 |
| ინტერი — ფიორენტინა | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| იუვენტუსი — ბრეშა | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| პიაჩენცა — პარმა | 3,0 | 2,9 | 1,9 |
| რომა — ლეჩე | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| უდინეზე — მილანი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ვიჩენცა — ნაპოლი | 1,6 | 3,0 | 4,2 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. IV ტური

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დი სანგრო — ფ. ანდრია | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ფოჯა — რეჯინა | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ჯენოა — კიევო | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ლუკეზე — პადოვა | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| პესკარა — ტორინო | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| რავენა — ანკონა | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სალერნიტანა — რეჯანა | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ტრევიზო — მონცა | 1,8 | 2,8 | 3,4 |

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვენეცია — პერუჯა | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ვერონა — კალიარი | 2,0 | 2,7 | 3,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. IV ტური

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ამადორა — ბელენენსეში | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ლეცა — პორტუ | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| კამპომაიორენსე — ვარზიმი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| სეტუბალი — მარიტიმუ | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| აკადემიკა — სალგეირუში | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| რიუ ავე — ბენფიკა | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| სპორტინგი — ბოავიშტა | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| ბრაგა — გიმარაეში | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ფარენსე — შავეში | 1,3 | 3,4 | 6,5 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დინამო — როტორი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ლოკომოტივი — ტორპედო | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ბალტიკა — ჩერნომორეცი | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| ნოვგოროდი — შინიკი | 2,1 | 2,7 | 2,7 |
| კრილია — კამაზი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ზენიტი — ცსკა | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| როსტსელმაში — სპარტაკი | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| ტიუმენი — ალანია | 2,5 | 3,0 | 2,1 |
| ფაკელი — ჟემჩუჟინა | 2,3 | 2,9 | 2,3 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. VI ტური

19 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიტარდი — გრააფსხაპი | 2,0 | 2,7 | 3,0 |

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი — სპარტა | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ტილბურგი — ვოლენდამი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ტვენტე — მასტრიხტი | 1,1 | 5,0 | 10,0 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალვაიკი — უტრეხტი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ნაიმეგენი — აიაქსი | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| ფეიენოორდი — ბრედა | 1,15 | 4,4 | 9,0 |
| გრონინგენი — ვიტესი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| როდა — ჰერენვენი | 1,8 | 3,0 | 3,2 |

### ბელგიის ჩემპიონატი. VI ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვესტერლოო — ანტვერპენი | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| ლოკერენი — გენტი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ეკერენი — შარლერუა | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ანდერლეხტი — მუსკრონი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ლომელი — გენკი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| სტ. ტრიუდენი — ლიერსი | 2,5 | 2,8 | 2,2 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრიუგე — მოლენბეკი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ჰარელბეკი — ბევერენი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ალსტი — სტანდარდი | 1,9 | 3,0 | 2,9 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუსტენაუ — გრაცერი | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| შტურმი — ტიროლი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| რიდი — ლინცერი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ადმირა — რაპიდი | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| აუსტრია — ზალცბურგი | 1,6 | 3,0 | 4,2 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XI ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრინსი — ქსამაქსი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ლოზანა — არაუ | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| სიონი — სტ. გალენი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ციურიხი — გრასჰოპერი | 3,8 | 3,2 | 1,6 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარუჟი — სერვეტი | 4,4 | 3,2 | 1,5 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. VI ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — აბერდინი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| დანფერმლაინი — კილმარნოკი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ჰარტსი — დანდი იუნაიტედი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| მოზერველი — ჰიბერნიანი | 2,0 | 3,0 | 2,7 |
| სტ. ჯონსტონი — რეინჯერსი | 7,0 | 4,2 | 1,2 |

### თურქეთის ჩემპიონატი. VII ტური

20 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე — ისტანბულსფორი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| გენჩლერბირლიგი — ტრაბზონსფორი | 4,4 | 3,2 | 1,5 |

21 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — გალათასარაი | 2,7 | 3,0 | 2,0 |
| დარდანელსფორი — ბურსასფორი | 3,1 | 3,1 | 1,8 |

## CROCO-2

### ტირაჟი №64

1. არმინია — ლევერკუზენი
2. ვესტ ჰემი — ნიუკასლი
3. ჩელსი — არსენალი
4. ტოტენჰემი — ბლექბერნი
5. ბასტია — მეცი
6. ატალანტა — სამპდორია
7. უდინეზე — მილანი
8. ლოკომოტივი — ტორპედო

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გიორგი კანდელაკი ცოლმა საჩხუბრად გაუშვა

არაერთგზის მითქვამს და საჭიროდ ვთვლი ახლაც გავიმეორო: წელს სახელმწიფო სპორტს ახლებურად მიუდგა. გაჭირვებული ქვეყნის კვალობაზე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა სახეობები კატეგორიებად დაჰყო და ბიუჯეტიდან ბოძებული 3 მილიონ 800 000 ლარის გახარჯვასაც შეუდგა: წარსულის ტრადიციების, დღევანდელობისა და სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებით. კაცმა რომ თქვას, ეს პრინციპი გამართლებულია — ფულიც ყაირათიანად დაიხარჯება და ქართულ სპორტშიც ყველა სათავისო ადგილს დაიგულებს. მაგალითად, ალპინიზმის ფედერაციას ეცოდინება, რომ რაც უნდა ბევრი მოინდომოს და მოითხოვოს, მოჭიდავეთა დარი დაფინანსება მაინც არ ექნება. კუთვნილს კი მიიღებს, მაგრამ თუ მადა გაეზარდა, სახელმწიფოს აღარ შეაწუხებს და სპონსორებს და მეცენატებს დაუწყებს ძებნას.

სპორტის დეპარტამენტის ამ ექსპერიმენტმა ერთნი თუ აზეირა, მეორენი აზარალა. ერთიც: დეპარტამენტის თავკაცები თითქმის ყველა სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელს ამას ეუბნებიან — ჯერ, მოდით, თქვენს სპორტსმენებს ერთ-ორ ტურნირზე ან ჩემპიონატზე გავუშვებთ და თუ იქიდან მედლები ჩამოიტანეს, შეკრებებზე და ხელფას-სტიპენდიებზე მერე ვილაპარაკოთო. ზოგი ფედერაცია ყაბულს არის დეპარტამენტის წინადადებაზე (სხვა გზა არა აქვს), ზოგი ჯერ ავანსს ითხოვს — მედლები სამომავლოდ იყოსო, ზოგისთვის კი სულ ერთია, რადგან თავის სახეობაში მედლების მომგები სპორტსმენები არც ერთ შემთხვევაში არ ეგულება.

კრივის ფედერაცია, სხვათა დარად, ბუნებრივია, ჯერ ფულს ითხოვს, შემდეგ კი სახვალიო მედლებს გვპირდება. მოკრივეებს ვალის გასტუმრება რომ პირნათლად შეუძლიათ, ეს არაერთხელ დაამტკიცეს. მაგრამ, სამწუხაროდ, კრივი არ არის სპორტის ის სახეობა, რომელსაც ჯერ შედეგს სთხოვენ და მერე აფინანსებენ. მოკრივეს ხანგრძლივი გარჯა, უამრავი შეკრება — ტურნირი და ფუფუნება სჭირდება, დიდ გამარჯვებებს რომ შეწვდეს. ასეა ყველა ქვეყანაში, ასე იყო უწინ ჩვენთანაც. ახლებური, დუხჭირი ცხოვრების კვალობაზე, ეტყობა, ჩვენი მოკრივეებიც გარდაიქმნენ და მიუხედავად მძიმე პირობებისა და გაჭირვებისა, მაინც ახერხებენ სერიოზული წარმატებების მიღწევას ისე, რომ უცხოელთა მეათედსაც არ ითხოვენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, კოკა ყოველთვის არ მოიტანს წყალს და ჩვენს ბიჭებსაც მობეზრდებათ ცარიელი ენთუზიაზმით ხელების ქნევა. წელს ქართველმა მოკრივეებმა უკვე დაამტკიცეს, რომ მათზე დახარჯული ფული წყალში გადაყრილი არ არის და თუ სამომავლოდ სპორტის თავკაცებმა ჯერ მედლები მოსთხოვეს ფულის სანაცვლოდ, ბიჭებსაც შეუძლიათ ამაყად დაულაგონ ისინი ჩინოსანთ მაგიდებზე.

ფინეთის ქალაქ ტამპერეში მოკრივეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. საქართველომ მხოლოდ სამი მოკრივე მიავლინა ფინეთს — კრივში ძლივს მობრუნებული გიორგი კანდელაკი, ასევე გორელი რამაზ გაზაშვილი და ჭიათურელი თენგიზ ჯაოშვილი. ტამპერეში საგაისო ევროპის ჩემპიონატის ლიცენზიები გათამაშდა. ლიცენზიების მაძიებელთა რიცხვმა ორასს გადააჭარბა. ევროპელი მოკრივენი ოთხ დღეს უშენდნენ მუშტებს ერთმანეთს და ევროპის ჩემპიონატის საგზურებიც გაინაწილეს. სასიხარულოა, რომ სამი საგზური ჩვენებურთ ერგოთ — დიახ, სამივე ლიცენზიითა და მედლებით დაგვიბრუნდა.

ტამპერედან ორმა მოკრივემ ბრინჯაო ჩამოიტანა, ერთადერთი ოქროს მედლით კი რამაზ გაზაშვილმა გაგვახარა. ეს ბიჭი, გარდა იმისა, რომ კანდელაკივით გორელია, ამავდროულად, გიორგი, მოკრივეთა კლუბ „ჩემპიონის" წევრია და ამჟამად კანდელაკის შეგირდიც შეიძლება ვუწოდოთ. რამაზი რომ პერსპექტიული მოკრივეა, ფინეთის ტურნირამდეც ცნობილი იყო — წელს ინგლისის ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე მსაჯს რომ არ დაეჩაგრა, ჩემპიონიც გახდებოდა, თუმცა უმედლოდ არც ინგლისიდან დაბრუნდა.

კარგი ფეხი ჰქონია კრივის ფედერაციის ახალდანიშნულ გენერალურ მდივანს თემურ კუტივაძეს. მისი ფედერაციაში მოსვლა და ფინეთში ბიჭების წარმატება ერთი იყო. თემურ კუტივაძე ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ ფალიანთან ერთად, რა თქმა უნდა, თბილისის აეროპორტში იყო და მოუთმენლად ელოდა მოსკოვი-თბილისის ბოლო რეისის ავიალაინერს, გამარჯვებული ბიჭები რომ მო-ჰყავდა. გიორგი კარნდელაკის ოჯახის წევრებსაც იქ მოეყარათ თავი, გიორგის მეუღლესაც შინ როგორ მოუთმენდა გული: ნინო ყანჩაველმა ხომ ყველაზე დიდი წვლილი დაიდო კანდელაკის მეორედ მოსვლაში, იმდენი ეჩიჩინა გიორგის, დაბრუნდიო, სანამ კვლავ ხელთათმანები არ მოარგებინა და საჩხუბრად ფინეთში არ გაისტუმრა.

აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში მოკრივეთა მომლოდინეს მოულოდნელად მკლავჭიდელი ერეკლე გურჩიანი შემრჩა ხელთ. სად იყავი-მეთქი, რომ ვკითხე, გაიცინა. შენგან მიკვირს ეგ კითხვა, სად ვიქნებოდი, მკლავჭიდელთა ევროპის ჩემპიონატზე ვიყავი და, როგორც ყოველთვის, გუნდური ჩემპიონები გავხდით, სამმა კაცმა კი 4 ოქროს მედალი მოვიგეთო. გაუგებრობა რომ თავიდან ავიცილოთ, მოგახსენებთ, რომ ერეკლე გურჩიანს ორ ტურნირში გაუმარჯვია — მარჯვენა და ცაცია ხელით მოასპარეზეებში.

მკლავჭიდელთა ამბით გახარებულს ხალისი მომემატა და ამასობაში მოკრივენიც გამოჩნდნენ. პირველად რამაზ გაზაშვილი მოვიხელთე.

**— რამაზ, მოკლედ გვიამბე გადახდილ ბრძოლებზე.**

— ტამპერეში, რომ იტყვიან, გაფუფუნებული ქვეყნის შვილები — ინგლისელი, იტალიელი და ესპანელი მოკრივეები ვცემე და ევროპის ჩემპიონატის ლიცენზია მოვიპოვე. შემდეგ ფინალში სომეხი მეტოქე დამხვდა. გორელი კაცი ვარ, მეზობლობისა და მეგობრობისა არაფერი მესწავლება, მაგრამ სპორტი სპორტია და ფინალშიც გულიანად ვიჩხუბე — 6:2 დავამარცხე სომეხი.

**— ჯერ 18 წლისა ხარ, ასე თუ ისე, გამოუცდელი. არ გეშინოდა?**

— გამოუცდელობის კომპლექსი ყველა მოკრივეს აწუხებს, მაგრამ შიში არ მქონია. ყველა ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ რინგზე ეს ნაკლებად შესამჩნევი იყო.

**— რა შეგძინა ამ ტურნირმა?**

— ამ ტურნირმაც და ევროპის ახალგაზრდულმა ჩემპიონატმაც, რა თქმა უნდა, გამოცდილება შემძინა. უპირველესად კი, საკუთარი თავის რწმენა შემმატა, თუ მოინდომე, წინ ვერავინ დაგიდგება, დაუმარცხებელი მეტოქე არ არსებობს.

ჭიათურელი თენგიზ ჯაოშვილიც გახარებული იყო. ეს ბიჭი თითქმის ხუთი წელი სპორტიდან იყო წასული, დაბრუნდა და ბოლოხანს სადაც იასპარეზა, ყველგან წარმატებას მიაღწია. სწორედ თენგიზისთანა სპორტსმენზე ითქმის, სტაბილური და საიმედოაო.

**— თენგიზ, შენ ვისღა მოუგე?**

— რამაზისა არ იყოს, მეც იტალიელს და ინგლისელს გადავეყარე. იტალიელს 5:1 მოვუგე, ინგლისელს — 5:0. ნახევარფინალში, შვედ მოკრივესთან ბრძოლაში, აშკარად დამჩაგრეს მსაჯებმა, თორემ 0:2-ს არ წავაგებდი. მაგრამ მესამე ადგილი წარმატებად მიმაჩნია, რადგან ჩემი წონის ყველა უძლიერესი ევროპელი მოკრივე ასპარეზობდა ფინეთში.

**— ამ სამიდან ყველაზე ძლიერი რომელი იყო?**

— ალბათ, ის იტალიელი, პირველად რომ შევხვდი. მეტად ლამაზი და უშელავათო ბრძოლა იყო, მაგრამ ბოლოს მაინც ვაჯობე.

ალბათ, არავინ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ ტამპერეს საერთაშორისო ტურნირზე ყველაზე მეტად გიორგი კანდელაკის გამოსვლა აინტერესებდათ ქართველ ქომაგებს. არ არის გასაკვირი: ყველას რომ ხელი ჰქონდა ჩაქნეული — კანდელაკი წავიდა სპორტიდანო, გიორგიმ მაშინ მოიბრუნა კრივისკენ გული, ბევრს არც ეგონა, რომ იგი ფინეთში წარმატებას მიაღწევდა. ზურაბ ფალიანმაც ეს მითხრა — გიორგისთვის ტამპერეს ტურნირი სამსოფლიოოჩემპიონატო მზადების ერთ-ერთ ეტაპამდე მიგვაჩნდაო. თავადაც ასე ფიქრობდა კანდელაკი, თუმცა, ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა — ტურნირი მოსამზადებლადაც გამოიყენა და საგაისო ევროპის ჩემპიონატის საგზურიც იშოვა. ინტერვიუზე კი, როგორც ყოველთვის, არც ამჯერად უთქვამს უარი.

**— გიორგი, როგორ მოერგე ახალ — მძიმე წონას?**

— ამ მხრივ პრობლემები არ მქონია. ადრე მძიმე წონაში რემდენჯერმე ვიასპარეზე და, ფაქტობრივად, ძველი და მივიწყებული გავიხსენე.

**— ამდენი ხნის უვარჯიშებელს არ გაგიჭირდა ფორმის აღდგენა?**

— ფორმის აღდგენა ვერც მოვასწარი — მხოლოდ ცხრა დღე ვივარჯიშე ვარიანში და ისე წავედი ფინეთში.

**— კრივში ხელახლა მობრუნებული რა ნაკლს ამჩნევ საკუთარ თავს? შეუძლებელია, ერთწლიან შესვენებას კვალი არ დაემჩნია შენს ოსტატობაზე.**

— რა თქმა უნდა, ერთი წელი დიდი დროა საიმისოდ, რომ ბევრი დაკარგო. ეს ჩემს ჩხუბსაც ეტყობოდა. უპირველესად, გამძლეობა მაკლდა, რინგზე ხედვას, დარტყმის სისწრაფეს, დარტყმის ძალასაც ახლდა ხარვეზები, მაგრამ არაფერია, გამოვასწორებ.

**— ბრინჯაოს მედალი და ლიცენზია როგორ მოიგე?**

— გერმანელი და ლიტველი მეტოქენი დავამარცხე.

**— მეტი არ შეგეძლო?**

— ფინალში გასასვლელ ბრძოლაში აღარ გავედი რინგზე. ლიცენზია უკვე მოპოვებული მქონდა და თავი შევინახე.

**— მეტოქის ხომ არ შეგეშინდა?**

— არა, რას ამბობ. უბრალოდ, მარათონულ ჩხუბისთვის ჯერ მზად არ ვარ და აღარ გავრისკე. ის გერმანელი და ლიტველი კი ჩემპიონზე ძლიერები იყვნენ.

**— ამ წარმატებამ საბოლოოდ დაგარწმუნა, რომ შენი კრივიდან წასვლა უაზრობა და ახირება იყო?**

— კი, ახლა ნამდვილად დავრწმუნდი. ცოტას კიდეც ვნანობ, მაგრამ ჩემი ბრალიც არ იყო — ოლიმპიადიდან გულგატეხილი დავბრუნდი. ცოტა ყურადღებაც მაკლდა, ხელშეწყობა არ მქონდა და მაშინ ასე ავიხირე. მინდა საქვეყნოდ დიდი მადლობა ვუთხრა ჩემს მეუღლეს ნინო ყანჩაველს. მისი მოწადინება რომ არა, დღეს აეროპორტში ვერ მნახავდი. ყველას მადლობას ვუხდი — კრივის ფედერაციას, ბოლოხანს ჩემსკენ შემობრუნებულ სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის თავკაცებს.

**— სამომავლოდ რას აპირებ?**

— ჩემი და კობა გოგოლაძის უნგრეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა გადაწყვეტილია, მოვემზადები და ვეცდები, დაკარგული ბუდაპეშტშივე ავინაზღაურო. დიდი სურვილი მაქვს, ის ხალხი, ვინც წვლილი დაიდო ჩემს კრივში დაბრუნებაში, არ გავაწბილო.

ჩვენებს ტამპერეში კანდელაკის პირადი მწვრთნელი ავთანდილ შოშიაშვილი თავკაცობდა. ბატონი ავთანდილი გახარებული იყო ბიჭების წარმატებით და მანაც ეს მითხრა: კაცი რომ ერთი წელი ხელს არ გაიქნევს, 25 კილოს მოიმატებს, რეჟიმით ერთი დღე არ იცხოვრებს და 9 დღიანი ვარჯიშით ამხელა ტურნირზე მედალს მოიგებს, ის უდიდესი ტალანტია და უსაზღვრო ნიჭითაა დაჯილდოებულიო.

იმედია, გიორგი კანდელაკს ახლა მაინც ყველაზე მეტად სწამს საკუთარი თავის, საქმეს, როგორც სჩვევია, ისეთი მუყაითობით მოჰკიდებს ხელს და ღვთისგან ბოძებულ მადლს უმოწყალოდ აღარ გაანიავებს.

**ლევან ჯაყახიშვილი**

ვკურნავ
მხოლოდ საკვები პროდუქტებით:
სტომატიტს, ანგინას და ღრძილების ანთებას
☎ 37-06-53
თამრიკო



# სოლო რეიდი ორ ხმაში

## ესპანეთის ველოტური „ვუელტა"



იან სვორადა

15 სექტემბერი. მე-10 ეტაპი. კორდოვადან ალმენდრალეხომდე. 224,5 კილომეტრი

ორშაბათს „ვუელტას" მეათე ეტაპი ორი ველომრბოლის სოლო-რეიდით აღინიშნა. 224-დან 180 კილომეტრზე ორხელისუფლებიანობა სუფევდა — იტალიელი მარიანო პიკოლი და ესპანელი ხუანვიკარიო პელოტონს კარგა ხანს უსწრებდნენ. ტრასის ერთ მონაკვეთზე ამათმა უპირატესობამ თორმეტნახევარი წუთი შეადგინა და გავეშებული ჯგროც დევნას შეუდგა. მიუხედავად იმისა, რომ დაწევა ვერ მოახერხეს, ეტაპის ბოლოსთვის დაწინაურებულებთან ჩამორჩენა სულ 25 წამამდე შეამცირეს, ამ გაქცევა-დევნაში კი რბოლის ტემპმა საკმაოდ იმატა და საბოლოოდ საშუალოდ 45 კილომეტრსაათზე მეტი შეადგინა. საფინიშო სპურტი ერთმანეთში მხოლოდ ორმა — პიკოლიმ და ვიკარიომ „გაითამაშა". შაბათს მერვე ეტაპზე იტალიელმა მსგავსი დუელი ჰოლანდიელ ვოსკამპთან წააგო და, ეტყობა, მწარე გაკვეთილისგან შესაბამისი დასკვნებიც გამოიტანა. ამჯერად მან ფინიშამდე 150 მეტრში უმატა ტემპს და მეტოქის უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, პირველობა აღარ დათმო. პელოტონი ფინიშის ხაზზე 25 წამის დაგვიანებით გადასრიალდა, ლიდერებმა ერთმანეთს დაწინაურების შესაძლებლობა არ მისცეს და საერთო ჩათვლაშიც არაფერი შეცვლილა. რაც შეეხება მარიანო პიკოლის, იგი პროფესიულ ასპარეზზე 1995 წელს გამოჩნდა და მაშინვე მოახერხა იტალიურ „ჯიროში" ერთი ეტაპის მოგება. გარდა ამისა, 1995-96 წლებში პიკოლი „ჯიროს" საუკეთსო სამთო მრბოლიც იყო, 1997-ში კი არ უმართლებდა, ვერცერთ რბოლაში ეტაპის მოგებას ვერ ახერხებდა და ორშაბათს გამარჯვების შემდეგ, როგორც იქნა, განუცხადა ჟურნალისტებს.

**მე-10 ეტაპი:** 1. პიკოლი 4:56,22; 2. ვიკარიო — იგივე დრო; 3. იან სვორადა (ჩეხეთი) +25; 4. ბიაჯიო კონტე (იტალია); 5. კლაუდიო კამინი (იტალია); 6. მაურო ბეტინი (იტალია)... 8. კლაუდიო კიაპუჩი (იტალია) — ყველას იგივე დრო.

16 სექტემბერი. მე-11 ეტაპი. ალმენდრალეხოდან პლაზენსიამდე. 194,5 კილომეტრი.

სამშაბათს წინა დღეს გადაღლილმა მრბოლებმა ტემპს შედარებით უკლეს, ოღონდ არცერთ მსურველს დიდი მანძილით დაწინაურების შესაძლებლობა აღარ მისცეს. მე-11 ეტაპზე ესპანურ „ბანესტოს", „ვუელტას" დაწყებამდე პირველობის მთავარ ფავორიტად რომ ითვლებოდა, ქვა აღმართში დაეწია — თითქოს არ კმაროდა საუკეთესო ესპანელის — აბრაჰამ ოლანოს გავარდნა და ახლა კუჭის პრობლემების გამო საერთო ჩათვლაში მეცხრე ადგილზე მყოფი არმანდო დე ლა კუევაც გამოაკლდათ. მორიგ მასობრივ ფინიშზე კი კვლავ სპრინტერებმა იხეირეს. ამჯერად პოდიუმზე გაჯგიმვის პატივი ჩეხ იან სვორადას ერგო, რომელმაც მცირედით აჯობა 1988 წლის მსოფლიოს ჩემპიონ მაურიციო ფონდრიესტსა და ამჟამად მსოფლიოს ნომერ პირველ მრბოლს ლორან ჟალაბერს. თუმცა, წინა დღის გამარჯვებულისგან განსხვავებით, ჩეხი წლეულს მშვენივრად ასპარეზობდა — ორი ეტაპი კატალონიის ტურზე მოიგო, ერთიც პორტუგალიისაზე. საერთო ჩათვლაში ლიდერთა მდგომარეობა კვლავ უცვლელი დარჩა: შარშანდელი პირველ-მეორეადგილოსნები, შვეიცარიელები ალექს ცულე და ლორან დიუფო წლეულსაც ამავე თანმიმდევრობით განაგრძობენ ასპარეზობას.

**მე-11 ეტაპი:** 1. სვორადა — 4:21,33; 2. მაურიციო ფორნდრიესტი (იტალია); 3. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი); 4. სერგეი ივანოვი (რუსეთი); ... 8. ლორან ბროშარი (საფრანგეთი); 9. ლორან დიუფო (შვეიცარია); 10. ფაბრიციო გვიდი (იტალია) — ყველას იგივე დრო.

**საერთო ჩათვლა:** 1. ალექს ცულე — 48.00.30; 2. ლორან დიუფო +32; 3. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +2,14; 4. კლაუს მიოლერი (დანია) +2,40; 5. ივონ ლედანუა +3,15; 6. დანიელ კლავერო +3,50... 14. ლორან ჟალაბერი +6,57.

**ლევან ჩხეიძე**



# ბიზნესმენებს ცეკვა უყვართ

აბა, ვის არ უნახავს გიორგი შენგელაიას ფილმი „ვერის უბნის მელოდიები?" ჰოდა, ინოჩენცის ტანც-კლასიც გეხსომებათ. აი, სწორედ ამ კაცმა და ასევე უცხოელმა ავერლომ ჩამოაყალიბეს სამეჯლისო ცეკვების პირველი წრეები თბილისში. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. სამეჯლისო ცეკვებმა საქართველოში კი არა, სად არ მოიკიდა ფეხი. რა ხანია, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებიც იმართება ცეკვებში. გერმანიაში სამეჯლისო ცეკვების კონკურსებს წლიურად 4,5 მილიონი მაყურებელი ჰყავს, ბიზნესმენთა გამოკითხვის შედეგები კი მართლაც გამაოგნებელი იყო: გერმანელი, ჰოლანდიელი და შვედი საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ფეხბურთის შემდეგ ყველაზე უხვად სამეჯლისო სპორტული ცეკვებისთვის იმეტებენ ფულს, რადგან სპორტის ეს სახეობა, ფეხბურთის შემდეგ ყველაზე მეტ მოგებას აძლევდა. უცხოელ ბიზნესმენებს კი ფულის თვლა და ანგარიში, მოგეხსენებათ, არ ესწავლებათ.

საქართველოს სპორტული ცეკვების ასოციაციის ამასწინათ გამართული შეხვედრაც სწორედ ამ მიზანს — სპორტულ ცეკვებში ქართველ ბიზნესმენთა მოზიდვას ისახავდა მიზნად. „ქარვასლის" ერთ-ერთი მყუდრო დარბაზში ასოციაციის თავკაცებმა უცხოეთის ფირმების ქართველი წარმომადგენლები მოიწვიეს, რომელთა უმრავლესობამ ხელშეწყობა და დახმარება აღუთქვა სპორტული ცეკვების ასოციაციას. „პანასონიკი", „ფილიპსი", „მიცუბიში", „გრუნდიგი", „მარშალი", „პოლაროიდი", „ორქიდეა", ჩვენებური ავიაკომპანია „ეარ ჯორჯია" — ამ ფირმათა ძალისხმევით შესაძლებელია საქართველოში სპორტული ცეკვების აყვავება.

ასოციაციის პრეზიდენტმა თენგიზ გაჩეჩილაძემ სტუმრებს შეახსენა, რომ მაისში თბილისმა უმასპინძლა სპორტული ცეკვების დიდ ტურნირს — „კავკასიის თასს". ნოემბრისთვის კი სამოყვარულო სპორტული ცეკვების მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც სამეჯლისო ცეკვების აღიარებული ლიდერები — ამერიკელი, ფრანგი, იტალიელი და ავსტრიელი მოცეკვავენი გამოვლენ, მათ გარდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან არაერთი წყვილი ესტუმრება თბილისს.

ბოლოს ბიზნესმენებმა და მოცეკვავეებმა ჭიქა შამპანურით დაულოცეს ერთმანეთს გზა და საერთო საქმის დასაწყისი.

**გრიგოლ ხუნდაძე**



# უსაქმოდ არავინ არის

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება და შეკრებაზეა, ახალგაზრდული ნაკრებიც შეკრებაზეა თურქეთში. არც დანარჩენები არიან უსაქმოდ და ჩვენმა ძიუდოისტებმა ახლახან მურად კაზანბიევის სახელობის ტურნირზე იასპარეზეს მახაჩყალაში, და ხელმოცარულნი არ დაბრუნებულან დაღესტნიდან: ბეჟან ჩიხელიძემ აბსოლუტურში ვერცხლის მედალი მოიგო, მანამდე კი ჩვენებურებს ოთხი ბრინჯაოს მედალი ერგოთ: მამუკა კურდღელაშვილს (65 კგ), ნუკრი გაგნიაშვილს (86 კგ), ლაშა ცხვარიაშვილს (მძიმე) და ავთანდილ ზვიადაურს (აბსოლუტური).

## მძლეოსნობა

# დიდი კარლ ლუისი ამერიკელებსაც გამოეთხოვა

**გასრულდა ესე ამბავი — მძლეოსნობის ლეგენდა კარლ ლუისი სარბიელზე შესაჭიბრებლად აღარ გამოვა და თუ ბილიკზე ანაც სექტორში კიდევ ვიხილავთ, ეს ან საქველმოქმედო მიზნით მოხდება, ანაც სპონსორ „ნაიკის“ წარმოსაჩინებლად.**

ოლიმპიური თამაშების 9-გზისა და მსოფლიოს 8-გზის ჩემპიონმა და კიდევ მსოფლიოს 4-გზის რეკორდსმენმა კარლმა დიდ სპორტში 18 წელი დაყო და რა იგრძნო მოყირჭება, მთელი წელი ნაჩვევ სამყაროსთან გამოთხოვებას მოანდომა. ზაფხულში მოვლო ევროპა და სადაც კი დიდი პრიზი გაიმართა, შოუს თითქმის ზრსად მოკლებია. იქ უმეტესწილად თუ არ უასპარეზია, არც საზოგადოებას დამალვია და დიდი სპორტსმენის სარგო პატივი — თაიგულები, ოვაცია, ავტოგრაფზე მონადირეთა ალყა ყველგან დააჭაშნიკა.

ეგზომ გაჭიანურებული დამშვიდობება შაბათს ამერიკაში დასრულდა. კარლი 1980 წლიდან ჰიუსტონის (ტეხასი) უნივერსიტეტში მოღვაწეობს და იქაურ სანტა-მონიკას კლუბში თომი თელესის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. ამაგდარი მოძღვრის გამო კიდეც უთქვამს, იგი რომ არა, სპრინტერი არასოდეს გავხდებოდი — კარიერას ოდენ სიგრძეზე მხტომელად დავასრულებდიო.

ლუისი ჰიუსტონელებს ყოველთვის პატრონობდა: 1990 წელს მისი ხარჯით განახლდა იქაური უნივერსიტეტის სტადიონის სარბენ ბილიკთა საფარი. ამავე ბილიკზე იასპარეზა დიდმა ათლეტმა შაბათს, თავის უკანასკნელ ესტაფეტაში, რომელშიც მას მხარი სანტა-მონიკელებმა — მაიკ მარშმა, ლიროი ბარელმა და ფლოიდ ჰერდმა აუბეს.



**ესტაფეტა ამერიკული ბურთაობის საუნივერსიტეტო ლიგის მატჩის შესვენებისას მოეწყო. ლუისმა ბრძანა, ხელმეორედ რომ მიბოძონ სიცოცხლე, იმავენაირად გავლევო.**

**იქვე იყო დედამისი ევლინიც. მან თქვა, ჩემი ვაჟი ეხლა კი მოიცლის პირადი ცხოვრების მოსაწყობადო.**

კარლი სპორტსმენობისას ბევრს აკრიტიკებდა აშშ-ის მძლეოსნობის ასოციაციას: დოპინგს ვერ ებრძვის და ქვეყანაში თავისი სახეობის გასავითარებლად საკმაოდ არ მუშაკობსო. კრიტიკა, აბა, ვის უყვარს, მაგრამ ლეგენდასთან გამოსათხოვრად ჰიუსტონში ამერიკული მძლეოსნობის მამებიც მიბრძანდნენ და ლუისი ფრიად აქეს.

რეზო ნემსაძე

## აფროსნობა

# აბა, რა ეგონა!

ვანდალს საკადრისი მიეზღო. წლეულს, მარტში, 28 წლის მაორი ექსტრემისტი ბენჯამინ პერი ნეისენი ოქლენდის სამეფო სააფროსნო ესკადრის მუზეუმში შეიპარა და ურთთი აფროსნობის წმინდა გრაალი — საუკუნე-ნახევრის წინ დაწესებული „ამერიკის თასი“ დაჩეჩქვა, ესაო და 1840 წელს ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიასა და ახალი ზელანდიის მკვიდრი ტომების ბელადთა ხელმოწერილი ვაიტანგის ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს, რაკი ჭვეყნის ევროპული კოლონიზაცია დაგვიკანონაო.

აფროსანთა თასი პოლიტიკაში იმად გარიეს, რომ როცა იგი ახალმა ზელანდიამ ამ ორი წლის წინ მოიგო, მთელმა ქვეყანამ გულით გაიხარა, რაც, როგორც ირკვევა, მავან დაჯგუფებებს არ ეპიტნავათ. ჰოდა, ქვეყანას თავიანთი საპროტესტო აქტით ჭეშმარიტად დიდი მიღწევა ვითომც გაუბიაბურეს!

ნეისენის სასამართლო ახლახანს დასრულდა. თასის ხელმყოფს 34 თვით მიესაჯა პატიმრობა.

მიხო ნინუა



მსურველს შეასწავლით

**კომპიუტერს**

დარეკეთ 23 20 66. იკითხეთ

მარიკო ან ზაზა

## კრივი




# შებრძანებია კინგსაო

ახალ წლამდე ორი დიდი კრივი გველის: 4 ოქტომბერს ატლანტიკ-სითში შეიბმებიან საბჭოს (ვბკ) მძიმეწონოსანი ჩემპიონი, ბრიტანელი ლენოქს ლუისი და მისი სარტყლის მოცილე, გაამერიკელებული პოლონელი ენდრიუ (ანჯეი) გოლოტა; 8 ნოემბერს, ლას-ვეგასში — კიდევ ორი ამჟამინდელი ჩემპიონი: ასოციაციისა (ვბა) ევანდერ ჰოლიფილდი და ფედერაციისა (იბფ) მაიქლ მორერი.

ორივე თავ-თავის სარტყელს დაიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ გამარჯვებული მეტოქისასაც დაეუფლება, რის შედეგადაც ეს ორი ვერსია შეჯერდება. ოპტიმისტები ახლა იმასაც ამბობენ, გაისად ლას-ვეგასელი გამარჯვებულის ატლანტიკ-სითელთან შერკინებაც მოხერხდება და ამ ოთხი წლის წინ დაქუცმაცებული მძიმე წონის პირველობა გამთლიანდებაო.

ნეტარ არიან მორწმუნენი! ჩვენ კი ეჭვი შეგვჩენია, რაკი დიდი ყალთაბანდი დონ კინგი ჭერაც ჭანზეა, ერთბაშად რამდენიმე სასამართლოს გაუთავებლად სამომავლოდ ადებინებს თავისი საქმეების გარჩევას და ალბათ ცდასაც არ დააკლებს, დუნიას კიდევ დიდხანს რომ ჰყავდეს ბევრი ჩემპიონთა ჩემპიონი და საჩემპიონო ჩხუბიც მრავლად ქონდეთ მენეჯერებს გასაჩალიჩებელი.

კინგი ზემოთხსენებული ლუისის დედასთან მეგობრობს, მაგრამ ვაჟს კი უჩაგრავს. ატლანტიკ-სითის მატჩთან დონს ხელი არა აქვს. მეტიც, ნიუ-ჯერზის შტატში მოღვაწეობა აკრძალულიცა აქვს.

ნევადის ლას-ვეგასი სულ სხვა საქმეა. იგი „ტეფლონ დონის“ საუფლოა. მართალია, წინა სამი შოუ ბლეფი გამოუვიდა — თებერვალში ბეჩავი ოლივერ მაკქოლი ლუისს აუტირდა და დანებდა, ივნისში გავეშებულმა მაიკ ტაისონმა კბილი წაატანა ჰოლიფილდის ყურს, ივლისში კი ჰენრი აკინვანდემ იმავე ლუისს კრივის ნაცვლად რინგზე ბერძნულ-რომაული ჭიდაობა გაუმართა, მაგრამ ნიუ-იორკის წარდგინებაზე დონს პრომოუტერის ფხა არ დაუშურებია, აქაო და ჰოლიფილდ — მორერის რე-მატჩი ნაღდი კრივი გამოვაო, თუმცა კი მშვენივრად უწყოდა, რომ მორერი ბუნებით ერთობ არხეინია და კარგა გვარიანად უვარჯიშებელიც.

დიახ, 8 ნოემბრის მატჩი წინანდელის გამეორებაა. 1994 წლის 22 აპრილს ვბა-ისა და იბფ-ის საზიარო ჩემპიონმა ჰოლიფილდმა ვერაფერი მოუხერხა ცაცია მორერს, ქულებით წააგო, ორივე ტიტული დაკარგა და გულის ჩანკით ჰოსპიტალშიც აღმოჩნდა.

ტახტზე მორერმა დიდი ხანი ვერ დაყო. იმავე წლის 5 ნოემბერს ბებერი ჯორჯ ფორმენისგან X რაუნდში იწვნია ნოკაუტი. მერე ფორმენი კრივჰში ჩაუდგა საკრივო გაერთიანებებს და სარტყლები ძღაფანტა. ახლა საქმე ისეა, რომ ვბა-ისა ტაისონის ორგზის მძლეველ ჰოლიფილდს უპყრია, იბფ-ისა — გერმანელი შულცის მჯობნ მორერს.

ნოემბრის შებმაში 34 წლის ევანდერის არჩივი 20 მილიონი US$ იქნება, 29 წლის მაიქლისა — 8 მილიონი.

ვალერი ჯიქია

## რაგბი

# დაიანას ხსოვნას მიუძღვნიან



პრინცესა დაიანას უდროო დაღუპვამ ფრიად დაამწუხრა ბრიტანული რაგბის სამყარო: ერთი, რომ „დაი“ უელსის უფლისწული იყო და რაგბში ამ ქვეყანას ქომაგობდა; და მეორეც, ბოლოსწინა საყვარლად ინგლისის რაგბის ნაკრების მაშინდელი კაპიტანი ვილ ქარლინგი ყავდა.

განსვენებულთა ხსოვნა საყოველთაო წესია, რაგბი კი ქველმოქმედებით არავის ჩამორჩება. ჰოდა, საფრანგეთისა და ბრიტანეთის რაგბის მამები ერთმანეთს შეხმიანებიან და შეთანხმებულან, რომ ნაახალწლევს, მორიგი ხუთი ერის პირველობის დაწყებამდე ინგლისური რაგბის მექა თვიქნემში გამართონ დიდი სეირი — საფრანგეთის რევოლუციის 200 წლისთავის დღესასწაულობის მსგავსად ახლაც ერთმანეთს საფრანგეთის „მამლები“ და ბრიტანეთის „ლომები“ შეაჭიბრონ. თამაშის შემოსავალი, რა თქმა უნდა, მთლიანად ქველ საქმეს მოხმარდება. აკი დაიანაც ამითი იყო ცნობილი.

ლუკა ჯორჯიაშვილი

# ინგლისში საქმეს თავი დაედგა



**20 აგვისტოს ფრიადი მითქმა-მოთქმის კვალად გადადგა ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ჯექ რაუელი, ვისაც იმას უკიჟინებდნენ, ეროვნული გუნდი ეშხიანად ვერ ბურთაობს, და გარდა მაგისა, დიდ ბიზნესსაც თავს არ ანებებ, გუნდი 1999 წლის მსოფლიო თასისთვის უკეთ რომ მოამზადოო.**

მას აქეთ მსოფლიოს უძველესმა რაგბის კავშირმა რამდენიმე კანდიდატს უკითხა პირი. ზელანდიელმა გრემ ჰენრიმ ოჯახური მიზეზებით იუარა ბრიტანეთში გადაბარგება, „ლომების“ სამგზის მოძღვარ შოტლანდიელ იენ მაკგიქანში კი მისმა კლუბმა „ნორსჰემპთონმა“ გვარიანი გამოსასყიდი მოითხოვა.

თვიქნემელ მამებსაც რა დარჩენოდათ: ოთხი კვირის ჯანჯლობის შემდეგ საქმეს თავი დაადგეს და გუშინწინ ნაკრები 41 წლის ქლაივ ვუდვორდს (ფოტოზე) ჩააბარეს. სამაგიეროდ მისი კლუბ „ბასისთვის“ საკმაო კომპენსაციის გადახდა მოუწიათ, მაგრამ „ვარდებს“ კი ეშველათ, რადგან ნოემბერში დიდი გამოცდა ელით — სამივე სამხრეთელ ბუმბერაზს: ზელანდიას, ავსტრალიასა და აფრიკას ზედიზედ უნდა უმასპინძლონ.

# დავა ბარში გადაწყდა

აქა გონიათ, რომ ჩვენს რაგბს ეშველება, თუკი მატჩის შემდგომი ლხინი, ე. წ. მესამე ტაიმი დაკანონდა. ცდებით, ბატონებო! მეტოქეთა ერთად თრობა და მასლაათი პანაცეა როდია, მოედანზე ჩადენილი ყოველგვარი უღირსი საქციელი რომ გააუვნებლოს და მოშუღარნიც შეარიგოს.



თავპირდამტვრეული „მამლები“: კრისტოფ ლამეზონი და ფილიპ კარბონო

„თაიმზის“ ფოტო

აი-ჩაგალითიც: კვირას, სამხრეთ-დასავლეთი საფრანგეთის ქალაქ ბრივში საშინელი ამბავი მოხდა. ჯერ იყო მატჩი, რომელშიც ზედ შესვენების წინ ლიანგური მუშტი-კრივი გაიმართა. ევროპის ჩემპიონ მასპინძლებსა და უელსელ სტუმრებს თითო კაცი გაუგდეს.

ფრანგები კარგა ხანს იგებდნენ, თუმც კი ლამეზონმა კარს ათი (!) დარტყმა ააცილა. ბოლო წუთზე „პონტიპრიზის“ მცველმა მორგანმა მასვე დაუფარა და თავისიანები წინ გაიყვანა, მაგრამ წამატებულ დროში ფრანგები შერკინებით მიეძალნენ უელსელებს და საჰოჭმანო ლელოს წყალობით ერთი კინკილა ქულით გაიმარჯვეს.

მთავარი ამბები ღამის 11-ის ნახევარზე, ბარ „ლეტუზაკში“ მოხდა. იქ დობილთა კომპანიაში ქეიფობდა „ბრივი“, როცა ძლეული უელსელები გულშემატკივართა თანხლებით მიბრძანდნენ და ლხენაში ჩაებნენ.

ჩხუბი თუ როგორ და რის გამო ატყდა, ამის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. მხოლოდ ვესტურნული შედეგია ცალსახა: დარბეული ბარი, ნაცემ-ნაბეგვი ფრანგები და პოლიციაში წასხმული ბრიტები.

მაგრად გაილახა საფრანგეთის ნაკრების საში წევრი: 9 ნომერი კარბონო, შუამარბი ლამეზონი და გარმემარბი ვონდიტი. ორს ცხვირი გაუტყდა, მესამეს თითზე უკბინეს.

დავიდ ვონდიტიმ მედიას მოუთხრო, უელსელ ჯენქინსთან ვლაზლანდარობდი, როცა მოედნიდან გაძევებული ზელანდიელი 8 ნომერი მაკინტოში და უელსელი კვაჰი ჯონი კარბონოს აუხირდნენო. ამას აბეზრებისთვის მიუგია, ინგლისური ვერ მეხერხება; საქმის ბარში გარჩევასაც ნუ დავიწყებთო, მაგრამ სტუმრები არ მოშვებიან. ამტყდარა ჩხუბი.

ბარი „ბრივის“ მავან სნეულ ვეტერანს ეკუთვნის. მისი თაოსნობით შარისთავი სტუმრები გარეთ გაუყვანიათ. მაშინ უფრო მეტი უელსელი შეჭრილა შიგ. გამართულა მაგიდებისა და სკამების სროლა. იმსხვრეოდა ჭურჭელი და ყველაფერი სისხლით მოისვარა.

პოლიციამ არეულობა 25 (!!) წუთში ალაგმა. საამისოდ ცრემლმდენი გაზი იხმარა.

ფრანგებმა დაიქადნეს, უელსში სათამაშოდ აღარ წავალთო. ინგლისის „ბასთან“ ზეგინდელი მატჩის გადადებასაც ითხოვენ.

ნიკო ვეფხვაძე

**„ჰაინეკენის“ ევროპის თასი**

II ტური. 12-14. 09: ა ქვეჯგუფი. ლენსთერი (ირლანდია) 16 (3) (ლ) — ლესთერი (ინგლისი) 9 (6); მილანი (იტალია) 14 (14) (ლ) — ტულუზი (საფრანგეთი) 19 (3) (ლ). მონაგარი: ტულუზი 4 ქულა, ლესთერი და ლენსთერი 2, მილანი 0

ბ ქვეჯგუფი. სვონზი (უელსი) 33 (19) (2ლ) — ალსთერი (ირლ) 16 (6) (ლ); გლაზგო (შოტლანდია) 22 (8) (3ლ) — ვოსფსი (ლონდონი, ინგ) 46 (23) (5ლ). მონაგარი: ვოსფსი 4, სვონზი და გლაზგო 2; ალსთერი 0

გ ქვეჯგუფი. ბრივი (საფრ) 32 (16) (4ლ) — პონტიპრიზი (უ) 31 (6) (3ლ); საზლვარი (შოტ) 17 (6) (ლ) — ბასი (ინგ) 31 (19) (5ლ). მონაგარი: ბრივი და ბასი 4; პონტიპრიზი და საზლვარი 0. წინა ტურში 21:15 ბასმა ძლია პონტიპრიზი და არა პირუკუ!

დ ქვეჯგუფი. ჰარლიქვინზი (ლონდონი, ინგ) 45 (38) (4ლ) — ბურგუენი (საფრ) 7 (7) (ლ); კარდიფი (უ) 43 (22) (6ლ) — მანსთერი (ირლ) 23 (6) (3ლ). მონაგარი: ჰარლიქვინზი 4; კარდიფი და ბურგუენი 2; მანსთერი 0

ე ქვეჯგუფი. პო (საფრ) 44 (32) (6ლ) — პლანეელი (უ) 12 (12); კალედონია (შოტ) 17 (9) (ლ) — ტრევიზო (იტ) 9 (3). მონაგარი: პო 4; პლანეელი და კალედონია 2; ტრევიზო 0

**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია: ილია ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბზიკაძე, ზაალ გიგინეიშვილი, ზურაბ მექვლია

ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება: ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი: ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვაჟო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29